



იხილეთ მე-4 გვერდზე

ციფრული მაუწყებლობა საქართველოში: რა რჩება ისევ პრობლემად?

17 ივნისიდან ქვეყნის ფარგლებში მოქმედი ანალოგური სატელევიზიო სიგნალები აღარ იარსებებს. საქართველო, როგორც საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების წევრი, ამ თარიღისთვის განსაკუთრებული ინტენსიობით ბოლო ერთი წელია, ემზადება. აღნიშნული ეტაპი ევროპის განვითარებულ ქვეყნებში რამდენიმე წლის განმავლობაში მიმ-

დინარეობდა, თუმცა ვალდებულება 2006 წელს აიღო.

მაგალითისთვის, გაციფრულების პროცესს დიდ ბრიტანეთში თითქმის 14 წელი დასჭირდა, ბელგიასა და შვედეთში 8-8 წელი, გერმანიასა და საფრანგეთში 6-6 წელი.

რთული ტექნოლოგიური და საკანონმდებლო პროცესის შედეგად

ციფრული სიგნალი მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა გავრცელდეს. ბოლო კონსულტაციები პარლამენტში, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ფარგლებში მიმდინარეობს. კომიტეტი მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებები კომიტეტს მესამე მოსმენით 10 ივნისს უნდა დაემტკიცებინა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, მათ

შორის დიგიტალიზაციის რა გრაფიკი შეიმუშავა ხელისუფლებამ, ანუ როდის და რა რიგითობით მიიღებენ ციფრულ სიგნალს საქართველოს რეგიონები. აღმოჩნდა, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე 17 ივნისიდან ჯერ მხოლოდ თბილისში მცხოვრები მოსახლეობა გადავა.

გავრცელება მე-6 გვერდზე

ქუთაისში „მწოდინარე პოლიციელს“ ითხოვენ

იხილეთ მე-2 გვერდზე

რა ვიხით ნარჩენების უსასნაზ?

იხილეთ მე-2 გვერდზე

სასამართლოს პრეზიდენტული გადაწყვეტილება პირადი მსოვრების დასულოვანთან დაკავშირებით

იხილეთ მე-3 გვერდზე

ციფრული ტელევიზია — კოფორტული სიასლა

იხილეთ მე-3 გვერდზე

რა უნდა იცოდნენ ადგილობრივმა მედიანორტალებმა

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქუთაისმა უკრაინულ ჟურნალისტებს უმასპინძლა

იხილეთ მე-5 გვერდზე

გაიხანით ზურაბ მელიქიშვილის კოეზია — „ლურჯი საყურა“

იხილეთ მე-7 გვერდზე

„ჩემი ერთი წუთი“

იხილეთ მე-5 გვერდზე

როგორ კურორტი რა დაავადებას კურნავს

იხილეთ მე-7 გვერდზე

ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმე — ნაფიცი მსაჯულების „დამოკლეს მახვილი“



იხილეთ მე-3 გვერდზე

უღიმიშო *220*05#
 4G: უაღრესი სიჩქარე
 1 GB
 + უფასო WhatsApp

ბილაინი
 ბილაინის
 აპლიკაცია

**„აღამიანი
 იბადება
 ერთხელ...“**

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქუთაისში „მწოლიარე პოლიციელს“ ითხოვენ

ქალაქ ქუთაისის ჰაეზავადის 19-ში (ყოფილი „ეროვნული ალიანსის“ შენობა) მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები ქუთაისის მერიას მათი შენობის წინ არსებულ გზაზე „მწოლიარე პოლიციელს“ დამონტაჟებას სთხოვენ. როგორც დევნილები აცხადებენ, მათ ორჯერ (10.09.2013 წ. — ბატონ ღიმიტრი კობალიანს და 25.02.2014 წ. — შოთა მურღულიას) მიმართეს წერილობით ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ამაოდ. აფხაზეთიდან დევნილების წერილობით პასუხს ქალაქ ქუთაისის მერია ერთი წლის შემდეგ გამოემართა (02.06.2015წ.), სადაც მითითებულია, რომ დევნილთა თხოვნა ვერ დაქმაც ოფიციურად, რადგან 2015 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ბარიერების მოწყობა. „საავტომობილო გზა საფრთხის გვიქმნის აქ მცხოვრებლებს. გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის შემთხვევები ავარიულ სიტუაციას ქმნიან ჩვენს ეზოსთან. ორჯერ მივმართეთ ქუთაისის მერიას, დავცავით სავალალო შედეგებისგან, მოექციათ დროული ყურადღება, გზაზე დაეგოთ შემადგენელი გადასასვლელი, ე.წ. „მწოლიარე პოლიციელი“, მაგრამ არავინ იყო ყურად ჩვენი თხოვნა,“ — აცხადებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ნელი კენჯია.

ანანა ლუგაშვილი



„ქაპრაზის მოჭრა“ რინოზნიკის პრაქტიკა და დანამატების არ შეხება

IDFI-მ პრემიებისა და დანამატების გაცემის შესახებ კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

2014 წლის მიწურულს საქართველოში დაწესებული სავალდებულო კრიზისის ფონზე, საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებით ქაპრაზის შემოჭრის პოლიტიკის წარმოება. მიმდინარე კვირაში საქართველოს მთავრობა წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტს.

ინსტიტუტი მიიხსენებს, რომ ქაპრაზის შემოჭრის პოლიტიკა სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებთან ერთად, მთელ რიგ უწყებებში უნდა აისახოს პრემიებისა თუ დანამატების გაცემის პოლიტიკაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვსურს წარმოგიდგინოთ IDFI-ის კვლევა, რომელიც უკავშირდება 2014 წელს საჯარო დაწესებულებებში პრემიებისა და დანამატების გაცემის პრაქტიკას.

2014 წელს შტატით ვათვალისწინებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ყველაზე მაღალი ნიშნული ფიქსირდება 1 296 186 ლარი, რაც, დაახლოებით, 109 მილიონი ლარით აღემატება 2013 წლის შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულ თანხებს, ხოლო 247 მილიონი ლარით — 2012 წლის მაჩვენებელს.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, გარკვეულწილად შემცირებულია როგორც გაცემული სარგოების, ასევე — პრემიების ოდენობა, შრომის ანაზღაურების საერთო ზრდა განპირობებულია სახელფასო დანამატებისა და წოდებრივი სარგოების მნიშვნელოვანი მატებით. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს გაცემულია დაახლოებით 20 მილიონი ლარით ნაკლები პრემია, მკვეთრად იმატა სახელფასო დანამატის გაცემის საერთო ოდენობამ და 2014 წელს აღნიშნული მუხლით საჯარო სამსახურში გაიცა, დაახლოებით, 57 მილიონი ლარით მეტი დანამატი, ვიდრე — 2013 წელს.

უკანასკნელ წლებში შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2014 წელს ფიქსირდება — 127 609 429 ლარი, რაც 2013 წელს შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულ ანაზღაურებაზე 37 მილიონი ლარით მეტია.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის დადგენილებამ ვერ უზრუნველყო პრობლემის

სრულად მოგვარება. აღნიშნული დადგენილებით, რეგულაციები დაწესდა მხოლოდ საჯარო სამსახურში არსებულ პრემიებზე, რამაც განაპირობა მთელ რიგ დაწესებულებებში პრემიების სახელფასო დანამატით ჩანაცვლების ტენდენცია. შედეგად, მთავრობის რეგულაციების ფონზე, სხვადასხვა დაწესებულების მაგალითზე, სახეზე გვაქვს შემდეგი პრაქტიკა:

1. სახელფასო დანამატების დაწესების ხარჯზე მთელი რიგი თანამდებობის პირების საშუალო ყოველთვიური შრომის ანაზღაურება უცვლელი დარჩა ან გაიზარდა.

2. ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტული თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად აღემატება მისი ხელმძღვანელი თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურებას.

3. სხვადასხვა უწყების ერთსა და იმავე პოზიციაზე დასაქმებული თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ინსტიტუტი მიიხსენებს, რომ საკითხის დარეგულირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე საჯარო მოხელეთა ანაზღაურების ყველა ასპექტის (სარგო, პრემია, დანამატი) დეტალური მოწესრიგება. მნიშვნელოვანია აღნიშნულ დეფინიციებს შორის განსხვავებების ფორმულირება და თითოეული მათგანის გაცემაზე უფლებამოსილი პირების, საფუძვლების, ოდენობის და პერიოდულობის განსაზღვრა. ამავე დროს, IDFI-ის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სამსახურში თანამდებობრივი სარგოებისა და პრემიების თუ სახელფასო დანამატების სისტემის ცვლილება არ იყოს ერთჯერადი ქმედება, არამედ განხორციელდეს საჯარო სამსახურის რეფორმის კონტექსტში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლის 1 ივლისს საზოგადოებას წარედგინა საჯარო სამსახურის ახალი რეფორმის კონცეფცია, რომლის შემუშავებაში IDFI აქტიურად მონაწილეობდა. ინსტიტუტი იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში აღნიშნული რეფორმის დაწესება ხელს შეუწყობს საქართველოში საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ეფექტური და კვალიფიციური სისტემის ჩამოყალიბებას.

2014 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, პრემიის გაცემის აუცილებელ პირობას მისი დასაბუთება და კონკრეტული საფუძვლების არსებობა წარმოადგენს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი აქტების შესწავლა აჩვენებს შემდეგს:

პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის საფუძვლებში ხშირ შემთხვევაში არ ხდება მითითება, თუ რა კონკრეტული გარემოებების გამო იქნა დაჯილდოებული კონკრეტული დასაქმებული.

ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშიდან ირკვევა, რომ მხარჯავი დაწესებულებების 81%-ს არ გააჩნია თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა.

ინსტიტუტი მიიხსენებს, რომ თანამშრომელთა სამართლიანი წახალისებისათვის მნიშვნელოვანია შესრულებული სამუშაოს შეფასების და თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემების დანერგვა. მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა პრემიის მაქსიმალური ოდენობის ზედა ზღვარი და პერიოდულობა. თუმცა ფიქსირებული თანამდებობრივი სარგოების პირობებში, ფინანსური წლის დასაწყისში განსაზღვრული შრომის ანაზღაურების ფონდის ათვისებისათვის აუცილებელია პრემიისა თუ სახელფასო დანამატების დასაქმებულზე ინტენსიური გადაწევა. შესაბამისად, არსებული რეგულაციების ფონზე სასარგებლო ათვისებისათვის კონკრეტული უწყებებისათვის დღის წესრიგში დადგა პრემიის სახელფასო დანამატით ჩანაცვლება. დამატებითი ანაზღაურების ოდენობებთან და პერიოდთან დაკავშირებით პრაქტიკა აჩვენებს შემდეგს:

შრომის ანაზღაურების ფონდი დაწესებულების მიერ ფორმირდება ფინანსური წლის დასაწყისში, შესაბამისად, დამატებული სამუშაო განრიგის ფონზე წინასწარ განსაზღვრულია სოლიდური თანხები პრემიებისა თუ სახელფასო დანამატების გასაცემად;

საკუთარი საქმიანობის შედეგად, მაღალი შემოსავლების მქონე დაწესებულებებს საშუალება ეძლევა მეტი თანხების მობილიზება მოახდინონ შრომის ანაზღაურების ფონდში პრემიებისა თუ სახელფასო დანამატების გასაცემად;

საპრემიო და სახელფასო დანამატებისათვის გათვალისწინებული თანხები არაპროპორციულად ნაწილდება თანამდებობის პირებსა და სხვა დასაქმებულებზე;

ხვდებით შემთხვევებს, როდესაც კონკრეტულ თვეში გაცემული პრემიის

თუ სახელფასო დანამატის ოდენობა თანამდებობრივ სარგოს ორჯერ ან მეტჯერ აღემატება;

დადგენილება დაშვებას აკეთებს კვარტალში ერთხელ პრემიის გაცემის, თუმცა მთელ რიგ უწყებებში კვარტალურად გასაცემ პრემიას სავალდებულო სახე აქვს მიღებული;

პრემიები გაიცემა უქმე დღეებთან (დღესასწაულებთან) დაკავშირებით;

ხვდებით შემთხვევებს, როდესაც ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული უმაღლესობით ხდება კონკრეტულ თანამდებობის პირებზე გამონაკლისების დაშვება ყოველთვიურად;

ერთი ბრძანების საფუძველზე მთელი წლის განმავლობაში კონკრეტულ თანამდებობებზე უწყესდებთ სახელფასო დანამატი.

ინსტიტუტი მიიხსენებს, რომ საჯარო დაწესებულებების შრომის ანაზღაურების ფონდში პრემიებისა თუ სახელფასო დანამატების წილი იმ ნიშნულამდე უნდა იქნას დაყვანილი, რომ შესაძლებელი იქნას აღნიშნული ფონდიდან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში განხორციელებული თანამშრომელთა წახალისება. ინსტიტუტი მიიხსენებს, რომ თანამშრომელთა წახალისება პრემიის სახით უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული დამსახურებისათვის და სახასიუხს-მგებლო ფუნქციის შესრულებისათვის — მიღებული შედეგების გათვალისწინებით. ამასთან ინსტიტუტს ყოველად გამოართმობს მიანიხა თანამშრომელთა წახალისება კვარტალის დასრულებასთან თუ კომპლემენტარულ დღესასწაულთან დაკავშირებით. თანამშრომლებზე სახელფასო დანამატის გაცემა კონკრეტული მოხელის შემთხვევაში უნდა უკავშირდებოდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებას, რომელიც გამოიწვევს თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემების დანერგვით. ამასთან, პრემიისა და სახელფასო დანამატის წილის შემცირებით წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე, სამართლიანობის პრინციპით, უნდა გაიზარდოს დასაქმებულ თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით საჯარო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას და მოზიდვას.

ინოვაცია ქუთაისში — „ჩვენ ვახარისხებთ, შემოგვიერთდით!“

უკვე რამდენიმე წელია, საქართველოში მიმდინარეობს სხვადასხვა სახის აქციები მყარ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ საზოგადოების ინფორმირების გაუმჯობესებაზე. ამ პრობლემატიკით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ, მოსახლეობის დახმარებით და მათი უშუალო მონაწილეობით მოხერხდეს ქვეყანაში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული უამრავი საკითხის თანამდებობრივი გადაჭრა. ამავედ ქუთაისში ინოვაციაზე გიამბობთ, თუმცა მანამდე, ნარჩენების გადამუშავების კუთხით სამაგალითო ქვეყანას და ჩვენთან ამ მხრივ არსებულ პრობლემებს გადავავლოთ თვალი.

მსოფლიოში ნარჩენების მართვის რამდენიმე ეფექტური მოდელი არსებობს, აქედან ყველაზე წარმატებული შედეგის გამოცდილება. მართალია მას ამისათვის 20 წელი დასჭირდა, მაგრამ დღეს თამამად შეიძლება, ითქვას რომ ეს ქვეყანა უპირობო ლიდერია ამ სფეროში და თითოეული მისი მოქალაქე აქტიურადაა ჩართული ნარჩენების შემოკრების პროცესებში. ასეთი შედეგის მიღწევა კი, შესაძლებელი გახდა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების ერთიანმა და კოორდინირებულმა მუშაობამ.

დღეს, შედეგში ხელისუფლების მხრიდან მოწესრიგებული ყველა საკანონმდებლო და ინფრასტრუქტურული საკითხები. მოსახლეობის მიერ დახარისხებული ნარჩენი გროვდება და გადამუშავდება სპეციალურ პუნქტებში და მხოლოდ აბოლუტურად გამოუყენებელი ნარჩენი გადის ნაგავსაყურელებზე. სახელმწიფოს შემუშავებული აქვს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია.

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი შედეგამდე. როგორც ხელისუფლების, ასევე, საზოგადოების მხრიდან სერიოზული მუშაობაა ჩასატარებელი, მსოფლიოში აპრობირებული ნარჩენების მართვის სქემების საქართველოში დასანერგად. ამისათვის კი საჭიროა, რომ მთავრობამ და პარლამენტმა იმუშაონ შეთანხმებულად, რათა საზოგადოებრივ აქტივობებს ლოგიკური გაგრძელება მოჰყვეს.

ქუთაისში არასამთავრობო ორგანიზაციის, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „სპექტრის“ მიერ ახლახანს განხორციელებული პროექტი მართლაც რომ ინოვაციური და დროულია. ქალაქში გამოჩნდა პლასტმასის კონტეინერები და ამავე დროს, — ასეთი მოწოდებები: „პლასტმასის ნარჩენი გარემოს მნიშვნელოვანი დამაბინძურებელია!“

„შევაგროვოთ პლასტმასის ნარჩენი და დავიცვათ გარემო!“, „ჩვენ ვახარისხებთ! შემოგვიერთდით!“ როგორც ჩვენი ცნობილი ვახდა, „სპექტრი“ ევროკავშირის მხარდაჭერით



აპრობირებული პროექტს „ნარჩენების მართვის ინოვაციური მეთოდების დანერგვა საქართველოს, მოლდოვასა და სომხეთის შერჩეულ ქალაქებში“, რომლის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პლასტმასის ნარჩენების ცალკე შეგროვება. ამ მიზნით ქ. ქუთაისში დაიდგა 100 ცალი სპეციალური კონტეინერი, რომლებიც გადამწვლიდა ქალაქის სხვადასხვა უბანში.

ამავე დროს, ორგანიზაციის ხელმძღვანელები და მათი ტრენერები ქალაქის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისათვის, მათ შორის საჯარო მოხელეებისა თუ სასკოლო ასაკის მოზარდებისთვის პერიოდულად მართავენ სემინარებს თემაზე „ნარჩენების მართვის ინოვაციური მეთოდები და თანამედროვე მიდგომები“.

ტრენინგის მონაწილეები იღებენ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების, ევროპული გამოცდილებებისა და ნარჩენების მართვის კოლექსის ძირითადი დებულებების და პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

შეხვედრებზე საუბრობენ აგრეთვე ნარჩენების გადამუშავებისა და ხელმეორედ გამოყენების მნიშვნელობის, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების შესახებ. მიმდინარეობს მუშაობა ჯგუფებში, რომლის დროსაც ტრენინგების მონაწილეები იძინენ ნარჩენების დახარისხებისთვის საჭირო პრაქტიკულ ჩვენებს.

ბულიზა ლუბიძე

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე
ლიზინგი: ირმა ბახუტაშვილი
ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე
გამომცემელი — შპს „P.S.“ (პოსტსოციალიზმი). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401
გაზეთი „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: UDC (უაე) 3+321 (479.22) (054) 3 - 658 P - 86
მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.
(032) 2 422 470, (0 431) 24-45-46. psnews27@gmail.com www.psnews.ge

ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმე – ნაფიცი მსაჯულების „დაეოკლან მახვილი“

ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმე ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში ნაფიცი მსაჯულების „დამოკლეს მახვილი“ აღმოჩნდა, რადგან ამ ისტორიის მიმართ აშკარა კითხვები არა მხოლოდ იურისტებში, არამედ საზოგადოებაშიც გაჩინა.

ამ განმარტებულ საქმეზე ნაფიცმა მსაჯულებმა, თბილისის საქალაქო სასამართლოში თითქმის 12-საათიანი მსჯელობის შემდეგ, ვერდიქტი ვერ გამოიტანეს. მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძეს კი რადგან ამ საქმეზე 9-თვიანი პატიმრობის ვადა წლის 12 ივნისს ეწურებოდა, პროკურატურამ სხვა საქმეზე ახალი ბრალი წაუყენა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა, არც მეტი არც ნაკლები, ცრუ დასმენის ფაქტზე შეუფარდა.

როგორც მთავარი პროკურატურა აცხადებს, საპატიმრო დაწესებულებაში მყოფმა გიორგი ოქროპირიძემ 2014 წლის 22 სექტემბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულს „ცრუ ინფორმაცია“ მიაწოდა და განუცხადა, რომ მას სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენეს, რის საფუძველზეც გამოიძიება დაიწყო. პროკურატურის ამ ბრალდებას ომბუდსმენი უჩა ნანუაშვილი მალევე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია წამების, თუ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, არ შეიძლება იყოს პირის/პატიმრის წინააღმდეგ მიმართული და გამოყენებული, ან განდგეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი.

„მსგავსი პრეცედენტი ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს, არა მხოლოდ გიორგი ოქროპირიძის მიმართ წაყენებული ბრალის დასაბუთებულობასა და მართებულობასთან დაკავშირებით, არამედ არსებითად აყენებს ეჭვქვეშ ქვეყნის



დემოკრატიული განვითარების გზაზე სახელმწიფო მიერ არაერთგზის ნაკისრი — წამების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებას“ — განაცხადა სახალხო დამცველმა.

საზოგადოებაში გაჩნდა განცემა, რომ პროკურატურამ გიორგი ოქროპირიძეს აღნიშნული ბრალი მხოლოდ წინასწარ პატიმრობაში დატოვების მიზნით წაუყენა, რადგან ვადა ეწურებოდა და მოკლული ლაშა მახარაძის ოჯახი ითხოვდა, ბრალდებული წინასწარი პატიმრობიდან არ გამოეშვათ. ამას დაემატა პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიაშვილის განცხადება, რომ ნაფიც მსაჯულთა ისტორიულმა ვერდიქტმა ვერ გაამართლა, სრული კრახი განიცადა და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ ლაშა მახარაძის მკვლელობის დისკუსია.

„რა თქმა უნდა, ლაშა მახარაძის დაზარალებულ ოჯახს აბსოლუტურად სამართლიანი მოთხოვნა აქვს, რომ დამნაშავე დაისაჯოს. ეს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, როგორც მეთოდებით, ამას შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ,“ — განაცხადა პრემიერმა. მეთოდებს კი მთავარმა პროკურატურამ მალევე მიაგნო.

ამრიგად, ნაფიც მსაჯულთა ისტორიულმა სერიოზულ, განმარტებულ საქმეზე ვერდიქტის გამოტანა და მართლმსაჯულების აღსრულება ვერ შეძლო. როგორც მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ ირაკლი შოთაძემ განაცხადა, ბრალდების მხარეს გამამტყუნებელი განაჩენისათვის ერთი ნაფიცი მსაჯულის ხმა დააკლდა.

„არ მოველოდი იქიდან გამომდინარე, რა მყარი ფაქტებიც არსებობს სისხლის სამართლის საქმეში. დადასტურებულია, რომ ლაშა მახარაძე გიორგი ოქროპირიძემ მოკლა. დღეს მოვისმინე ლაშა მახარაძის დედის განცხადებები, რაც სრულიად გასაგებია,“ — განაცხადა შოთაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გადაცემა „რეაქციაში“. მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე მიჩნევენ, ასეთ განსაკუთრებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილება პროფესიონალმა მოსამართლეებმა უნდა მიიღონ.

გაუქმდება თუ არა ნაფიცი მსაჯულების ისტორიული?

ისტორიის უმადლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე აცხადებს, რომ

ნაფიც მსაჯულთა ისტორიული გაუქმება პროცედურულად ძალიან რთული იქნება. მურუსიძის განმარტებით, აღნიშნული ისტორიული ნაფიცი მსაჯულების იმისა, თუ რა მძიმე სამუშაოს შესრულება უწევს მოსამართლეს. „ნაფიცმსაჯულთა ისტორიული გაუქმება პროცედურულად რთულია. ისტორიული გაუქმების სურვილი რომ მქონდეს, ამ ეტაპზე შეუძლებლად მიმაჩნია,“ — განაცხადა ლევან მურუსიძემ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით კი საზოგადოების მენტალობა და პასუხისმგებლობის ხარისხი ამ ეტაპზე ნაფიცი მსაჯულების ისტორიული ფუნქციონირებისთვის საკმარისი არაა. როგორც კაიკაციშვილმა აღნიშნა, ბევრმა ქვეყანამ, სადაც ეს ისტორიული ფუნქციონირებდა, ის უკვე გააუქმა.

„ჩვენი საზოგადოების მენტალობა და პასუხისმგებლობის ხარისხი ამ ეტაპზე საკმარისი არაა ნაფიცი მსაჯულების ისტორიული ფუნქციონირებისთვის. ამასთან, როცა ვსაუბრობთ საერთაშორისო გამოცდილებაზე

სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება პირადი ცხოვრების დაცულობასთან დაკავშირებით

თბილისის საქალაქო სასამართლომ იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ მნიშვნელოვანი და პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო, რითაც ადამიანის პირად ცხოვრებაში არაკონსტიტუციური და არაპროპორციული ჩარევად მიიჩნია სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის მოთხოვნა ბავშვისთვის ორზე მეტ წევრიანი სახელის დარქმევის აკრძალვის შესახებ.

საქმე იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ გასულ წელს დაიწყო, როდესაც საქართველოში ერთობლივად შექმნილ ოჯახს საქართველოს და ინდონეზიის მოქალაქეს იუსტიციის სახლმა თბილისში უარი განუცხადა საკუთარი ბავშვისათვის სამწევრიანი სახელის დარქმევის და რეგისტრაციის გამო. ოჯახს სურდა, რომ მათი ბავშვის სახელში ასახულიყო ქართული წარმომავლობა და ინდონეზიური ტრადიციებიც. იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა ხისტი და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 68-ე მუხლზე, რომ მოქმედი კანონით პირდაპირ იკრძალებოდა ბავშვისათვის ორზე მეტი სახელი-საგან შემდგარი სახელის დარქმევა. მეუღლეების უფლებებს ადვოკატი ლევან ჯორბენაძე იცავდა, მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ კანონი პირდაპირ კრძალავდა ბავშვისათვის ორზე მეტ წევრიანი სახელის დარქმევას მოსამართლე ნანა დარასელიამ ძალიან თამბი და პროგრესული გადაწყვეტილება მიიღო და განაცხადა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა არაპროპორციული იყო და ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით

დაცული პირადი ცხოვრების უფლება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლომ განაცხადა, რომ ისეთი ფუნდამენტური უფლების დაცვის დროს, როგორცაა პირადი ცხოვრების უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში, იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილების მარტო შიდა კანონ-შესაბამისობა არ იყო საკმარისი.

ადვოკატი ლევან ჯორბენაძე ასევე აცხადებს, რომ მოსამართლე ნანა დარასელიას ეს გადაწყვეტილება საქართველოს მართლმსაჯულების განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტი და პროგრესული ნაბიჯია. თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ დაასაბუთა. სასამართლომ ადვოკატის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც გამოიყენა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, დაუშვებლად ცნო საჯარო ხელისუფლების ასეთი ჩარევა ადამიანების პირადი ცხოვრების უფლების განხორციელებაში და იუსტიციის სამინისტროს დაავალა დაბადების მოწმობის გაცემა მშობლების სურვილით, ბავშვის სამწევრიანი სახელით.

სიფრული ტელევიზია — კოეფორტული სიხალე

საქართველოს მოსახლეობა მიწისზედა ანალოგური ტელევიზიის ციფრულ სატელევიზიო მუშაობაზე გადასვლისათვის ემზადება. ზოგი მათგანი ახალ მოწყობილობებსაც ყიდულობს. სხვები კი ცვლიან პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც სატელევიზიო სიგნალს იღებენ. ტელევიზიის ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლის პროცესის დასრულება 17 ივნისისთვისაა დაგეგმილი. დათქმულ ვადამდე თვეზე ნაკლები დრო რჩება. თუმცა საზოგადოებაში მომავალ ცვლილებებზე ინფორმაცია არასაკმარისია. ამ საკითხზე ჩვენს მკითხველებსაც მივიღეთ კითხვები და გვინდა, რამდენიმე მათგანს ვუპასუხოთ:

რას ნიშნავს მიწისზედა ტელევიზიის გაციფრულება?

ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლა არის პროცესი, რომლის დროსაც ანალოგური მიწისზედა სატელევიზიო სიგნალი შეიცვლება ციფრული სატელევიზიო სიგნალით. შედეგად ვიღებთ სატელევიზიო სიგნალს, რომელსაც უმადლესი ხარისხის ხმა და გამოსახულება აქვს.

რა შეიცვლება ჩემთვის გაციფრულების შემდეგ?

ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლის შემდეგ ტელევიზორის ყურება უფრო სასიამოვნო პროცესი გახდება, რადგან აღარ იქნება ხაზები ეკრანზე, ხმის ხარვეზები ან სხვა მსგავსი პრობლემები, რომლებიც ანალოგური მიწისზედა მუშაობისთვის იყო დამახასიათებელი.

17 ივნისამდე მომზადება თუ ვერ მოვასწარი, სატელევიზიო ჩვენებას დაგვარგავ?

ციფრულ სატელევიზიო მუშაობაზე გადასვლის შემდეგ, თუ თქვენ არ გქონებათ ციფრული ტელევიზია ან სეთ-თოფ-ბოქსი, ტელევიზორის ყურებას ვეღარ შეძლებთ. თუმცა, თუ ამჟამად ტელევიზორის სატელევიზიო ან ინტერნეტის (IPTV) მეშვეობით უყურებთ, 17 ივნისს თქვენთვის არაფერი შეიცვლება.

როგორ შემიძლია ციფრული სატელევიზიო სიგნალის მიღება?

ზოგადად, ციფრული სატელევიზიო სიგნალი გადაცემის ერთ პლატფორმაზე მიმდის არ არის. მისი

მიღება განსხვავებული გზებითაა შესაძლებელი და მათ შორისაა: ანტენა, სატელევიზიო, კაბელი და IPTV. სატელევიზიო და IPTV უკვე ციფრულია. თუ რომელიმე მათგანის მომხმარებელი ხართ, თქვენ ციფრულ სიგნალს უკვე იღებთ. თუ ციფრული სიგნალის მიღება მიწისზედა ქსელის მეშვეობით გასურთ, მოგიწევთ იყიდოთ სეთ-თოფ-ბოქსი ან ტელევიზორი, რომელსაც სეთ-თოფ-ბოქსი აქვს ჩამონტაჟებული.

ციფრული სატელევიზიო სიგნალი სოფლებსა და მიუდგომელ რეგიონებსაც დაფარავ?

მიუდგომელ ტერიტორიებზე ციფრული სატელევიზიო სიგნალის მიღება დამოკიდებულია პლატფორმაზე, რომლის მეშვეობითაც სიგნალს იღებთ. მაგალითად, სატელევიზიო სიგნალს ერთდროულად იღებენ რადიო-ტელევიზიის მაყურებლის დაფარვა შეუძლია განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალებში და ქვეყნის ყველაზე მოშორებული რეგიონების მოსახლეობასაც მოიცავს. ამისათვის კი დამატებითი ინვესტიციები საჭირო არაა. IPTV-ის შემთხვევაში კი სოფლების დაფარვა უფრო გაძვირებულია.

სტოპ ბაბადაძე

ქუთაისის ხალისუფლებას საეცნიერო გიგლიოთაქაუი გუნდის ეუინია!

მწერალი ცირა ყურაშვილი ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის იმ კომისიის ერთ-ერთი წევრი გახლდათ, რომელმაც ხმათა უმრავლესობით ბიბლიოთეკას სამეცნიეროს ნაცვლად, საჯარო სტატუსი მიანიჭა. თუმცა, ქალბატონ ცირას კომისიის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, თავისი პოზიცია და დამოკიდებულება ბიბლიოთეკის ირგვლივ ბოლო დროს შექმნილი საკმაოდ უარყოფითი სიტუაციის შესახებ, გრცლად განმარტა და წერილობით მოგვარდა, რასაც უცვლელად გათავაზობთ აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე გამოქვეყნებულ გვექონდა პოზიტიური პოზიცია. ამჯერად კი განსხვავებულ აზრს გათავაზობთ.

ცირა ყურაშვილი: „სამწუხაროდ, ჩემი დამატებითი ცხოვრებისა და შემოქმედებითი რიტმიდან გამომდინარე, სურვილის მიუხედავად, ვერასდროს მოვახერხებ ვრცელი წერილის დაწერა ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით და იძულებული გახდები, მხოლოდ სოციალურ ქსელში გავეთქმული კომენტარებით, ამ ბიბლიოთეკის სახელწოდების მინიჭებისა და განვითარების კონცეფციის შემუშავებასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიაში მუშაობით შემოვავალულოყავი, კომისიის წევრებთან მსჯელობისას პრინციპული დამოკიდებულება გამოვამხატა, რის გამოც არცერთ საგანგებო თი ინტერნეტგამოცემის ინფორმაციაში ჩემი გვარი, როგორც საბიბლიოთეკო კომისიის წევრისა, არ გაჰყავნებულა. თითქოს, საერთოდ არ ვარსებულყავ. ბუნებრივია, ართქმულა იმ პოზიციის შესახებაც, რაც გამაჩნდა და რაც სწორედ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უმთავრესი ნაწილის შეხედულებასაც წარმოადგენს. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მუშაობისას არცერთ თანამშრომელთან არ მქონია პირადი შეუთავსებლობა და დიდი იყო სურვილი, ბოლო დროს არსებული განხეთქილებისას, რომელიმე გატანისთვის ამ ბიბლიოთეკართა „თავდადებულმა ბრძოლამ“ ქალაქის ხელმძღვანელი პირების მხრიდან საკითხის დროულად გადაწყვეტის ნაცვლად, მისი წარმოდგენილად გაჰყავნებოდა, უმოქმედობა, პანიკური შიში გამოიწვია. ეს შიში რეაქცია ყოველგვარ არასასურველ ხმაურზე დაგამოხატება ამ ფრა-

ზამი არ დამეჭირა, მაგრამ ჯანსაღი პოზიციის მქონე ბიბლიოთეკართა უცნაურმა სიღრმემ, გაუგებარმა დემილირმა, დალილობამ თუ გულგრილობამ ბიბლიოთეკისა და საკუთარი ბედის მიმართ; ხოლო მათსაპირისპიროდ — არაჯანსაღი პოზიციის მქონე რამდენიმე თანამშრომლის თავდაკლულმა ბრძოლამ პროგრესისა და განვითარების წინააღმდეგ, რაც უნდა ვაღიარო — ერთობ ეფექტური და შედეგიანი აღმოჩნდა ისეთი ქალაქისთვის, როგორც ქუთაისისა, მაიძულა მეც, ერთ-ერთი მხარე დამეჭირა. ამჯერადაც, დილოგში ჩართულ მოპირისპირე მხარის მიმართ კოლეგიალობისა და პატივისცემის მიუხედავად, კიდევ ერთხელ ღიად გამომაქეს ჩემი პრინციპული მოსაზრება, რაც შედეგში მდგომარეობს: ის მიდგომა, რაც ამ ბოლო დროს ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის პატარა ჯგუფმა დამკვიდრა, მოკლებულია საზოგადოებრივ ნიადაგს, ძალიან პირადულია, ცალმხრივია, სწორხაზობრივი და მიკროობული. ისტორიული მოვლენად შეიარსებული, თითქოსდა წარმატება და ვარსკვლავთცვენა, რასაც თურმე მალე მოიქის სტატუსი შეცვლილი ბიბლიოთეკა, არის სრული გულუბრყვილობა და საკითხის არსში ჩაუხედაობა, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო ქვედა ფსიქოლოგიურ შრეებზე, საიდანაც კონფლიქტური ხასიათები იკვეთებიან, პიროვნული შეურთებლობა და შურისძიების ელემენტები იჩენენ თავს... საკითხის ამგვარმა დაყენებამ და მისი გატანისთვის ამ ბიბლიოთეკართა „თავდადებულმა ბრძოლამ“ ქალაქის ხელმძღვანელი პირების მხრიდან საკითხის დროულად გადაწყვეტის ნაცვლად, მისი წარმოდგენილად გაჰყავნებოდა, უმოქმედობა, პანიკური შიში გამოიწვია. ეს შიში რეაქცია ყოველგვარ არასასურველ ხმაურზე დაგამოხატება ამ ფრა-

ზამი: „ნუ იქნება ოღონდ ბუნტი“. ამან სიტუაციის დარეგულირების ნაცვლად, აშკარა წაქეზებისა და ანარქიის ფორმა შეიძინა, რამაც უკვე დიდი ზიანი მიყენა ჩვენი მხარის ფლავიან ბიბლიოთეკას და ეს რღვევა, მორალური და ფსიქოლოგიური რყევები გრძელდება. ამიტომ უნდა ვთქვა: მხარის მთავარი ბიბლიოთეკისთვის სამეცნიერო სტატუსის მინიჭებისას თავის დროზე და მისი შენარჩუნების გამო, ათწლეულის განმავლობაში არავითარი კანონთან შეუსაბამობა, ან კანონდარღვევა არ ყოფილა. კანონში — „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ — მკაფიოდაა განმარტებული, რომ ბიბლიოთეკის არსი მკითხველისთვის სწორედ კულტურულ-საგანმანათლებელ უზრუნველყოფით, მომსახურებით ვლინდება. კომისიის სხდომებში ოპრისტიკ იღებდა მონაწილეობას და დაბეჯითებით ითქვამის შესახებ. ამიტომ გასაკვირა ტყ უიღონე ამდენი აბუღიარება. ბიბლიოთეკის სტატუსი არის ის სამართლებრივი სივრცე, რაც აწესებს საზღვრებს და იცავს საზოგადოების კულტურულ მემკვიდრეობას ისეთი არაპროგრესული განზომილებისგან, როგორსაც უკვე დიდი ხანია, აქვს ადგილი ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში და რასაც პატრონი არასდროს გამოუჩნდა. მერია ბიბლიოთეკის დირექტორთან უკვე მერამდენედ აფორმებს ახალ-ახალ დროებითი ხელშეკრულებას, ორ-სამ თვეში თითო-ორჯოდა საკომისო მუშაობაც ეწყობა, ამას რა ეფექტუც შეიძლება, ჰქონდეს, ეს თავად განსაჯეთ. მოსაზრება — ანტონ ლორთქიფანიძის სახელი ეწოდოს სამეცნიერო ბიბლიოთეკას, გამომდინარეობს იქედან, რომ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც ყველა კუთხით ტონის მოცემია მთელი ქვეყნის ბიბლიოთეკებისთვის, სწორედ ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს და ასეთი იდენტურობის საჭიროება არ დგას, მით უფრო, რომ ანტონ ლორთქიფანიძის სახით გვყავდა ილიას და სამოკიანელთა საგანმანათლებლო კვლავ მიმყოფი მოღვაწე და ჩვენი ლამის საუკუნე ნახევრის ბიბლიოთეკა სწორედ მის ისტორიულ ქველმოქმედებაზე დგას. ბიბლიოთეკართა მცირე ჯგუფს უცნაური დამოკიდებულება აქვთ პროგრესსა

და თანამედროვე მიმართულებებთან. უკვე ანგვლოტად დადის მათი აკრძალვები თანამშრომელთა მიმართ. სიტყვები: „წინსვლა და პროგრესი“ არ ახსენოთ!“ ანუ ბიბლიოთეკის მიერ ელექტრონული კატალოგიზაციისთვის გაწეული მუშაობა უმნიშვნელო ამბავია, ასევე — საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, რომლის პარტნიორებიც ამერიკის, გერმანიის, ისრაელის, თურქეთის, პოლონეთის, ერაყის, სტამბულის, უკრაინის უნივერსიტეტები არიან; სამეცნიერო კრებულის — „წელიწადულის“ 5 ტომის გამოცემაც არაფრის მთქმელი საქმიანობაა და — მთელი ის საგრანტო მუშაობაც, რომელმაც 12 პროექტის განხორციელების საშუალება მისცა, შეიქმნა უცხოეთიდან კუთხეები და საბიბლიოთეკო ქსელი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა, ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამუშაო შესრულდა, ბავშვთა, უსინათლო და მხედველობა დაქვეითებული მოქალაქეებისთვის სპეციალური სერვისის დაინერგა. პოლონეთში ბიბლიოთეკართა გამოცდილების მისაღებად სისტემატური კავშირებიც ამოქმედდა. იქნებ ცოტაა, სწორედაც რომ ცოტაა და განვითარების მეტი საშუალებაა საჭირო, ამ ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალების ადაპტირება აუცილებელი თანამედროვე მოთხოვნებთან, მოქალაქეთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის საჭიროებებთან, წინადაც ფონდის კიდევ უფრო გაზრდას მნიშვნელოვანი, ახალი, პოლიგრაფიული თანამედროვე და ბიბლიოთეკისთვის უცნობი ეგზემპლარებით, რადგან ხშირია შემთხვევა, როცა ბიბლიოთეკას სტუდენტის მიერ მოთხოვნილი წიგნი არ გააჩნია. კონფლიქტურ ვითარებათა აღმოფხვრა და შრომის დისციპლინის განმტკიცება საჭირო, სარეაბილიტაციო სამუშაოები და ფართის დაშენება, უამრავი რამ, რასაც გონიერი, მონდომებული ხელმძღვანელობა ესაჭიროება. ამოუწურავი მარაგი აქვს ჩვენი ქალაქის სამეცნიერო ბიბლიოთეკას, რომლის სამომავლო სტატუსი ბიბლიოთეკართა ძირითადმა შემადგენლობამ, როცა სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფცია შეიმუშავა, სწორედ ასე განსაზღვრა „სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა“. გონივრულად შემუშა-

ვებულ ამ კონცეფციას დამფუძნებლის მხრიდან გონიერი და გულისხმიერი წამოხველი ესაჭიროება. ახლა, როცა ძალიან მოკლედ მიმოვიხილეთ ბიბლიოთეკაში არსებულ პოზიციათა ურთიერთმიმართება, ფრჩხილები უნდა გაგხსნა დათქვა ის, რის თქმისგანაც დიდი ხანია ვიკავებ თავს: ბიბლიოთეკის ძალიან მცირე, მაგრამ განსაკუთრებულად „მონდომებულ“ ბიბლიოთეკართა მიერ სამეცნიერო სტატუსის შეცვლის მიმართ სურვილის ქვეშ მოქცეულია პირადი შურისძიების წყურვილი, სამეცნიერო კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელთა, თანამშრომელთა მიმართ და მათდამი რწმუნებულ განყოფილებათა გამოხშირვისთვის, რაც კიდევ უფრო დაამდაბლებს ბიბლიოთეკის საერთო კულტურულ-ინტელექტუალურ, სამეცნიერო-ინფორმაციულ პოტენციალს და იგი თანამედროვე მხარდა განვითარების კულტურული დაწესებულებიდან ერთ რიგით ადვილად გადაიქცევა. თუ ამ ბიბლიოთეკართა ბრძოლისუნარიანობას და აღებულ ტემპს მივაქცევთ ყურადღებას, დავრწმუნდებით, რომ საქმე მხოლოდ აქეთვე მიდის და დამფუძნებლის — ქუთაისის თვითმმართველობის მიერ შექმნილი კომისიის რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი პუნქტი, რომ სამეცნიერო ნაწილს შემცირება არ ემუქრება — ამ ფონზე გარანტირებად არ გამოდგება, როგორც სამართლებრივი ძალის არმქონე დოკუმენტი. აღდრ, როცა ეს არაპროგრესული მოძრაობა ჩანასახის მდგომარეობაში იყო, დავწერე, რომ ამ ბიბლიოთეკართა მოქმედება და მათ მიერ ბიბლიოთეკის აღმა-დაღმა ტარების სურვილი ძალიან ჰგავდა დავით კლიაშვილის გმირის — დარისპან ქარსიდის მიერ ქალიშვილის, კაროუნას, გასათხოვრად მხოლოდ-სოფელ წოწილის. აზრი არც ამ ბოლო დროს შემცვლია, უბრალოდ, ვითარება უფრო დამძიმდა და დამატებამა. გულზე მოსახვედრი შედარებაა, ვწუხვარ, ვუთანაგრძობ, მაგრამ სიტუაცია ასეთია. ამის თქმა, როგორც ამ საბიბლიოთეკო კომისიის წევრს, მე ვალეობდა. ამ ჩანაწერით მოვალეობას არ ვიხდი, ბიბლიოთეკის ამჟამინდელი მდგომარეობა ძალზე მაწუხებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი მე არაფერი შემიძლია.

პარლამენტის თავმჯდომარემ 10 ყველაზე გამცდენი პარლამენტარის სია გამოაქვეყნა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა ყველაზე გამცდენ დეპუტატთა ათეული გამოაქვეყნა, რომელთა შორის, მისი თქმით, „რეკორდსმენი“ კობა ნაყოფიაა. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, დეპუტატს გაცდენა საპატრიოტო ოჯახური მდგომარეობის გამო ეთვლება. „არ მგონია, რომ პარლამენტის წევრები და მათი ოჯახები რამეთი განსხვავდება სხვა საჯარო მოხელეებისა და მათი ოჯახებისგან. ზოგიერთი დეპუტატი პარლამენტის პლენარულ სხდომას 60-ზე მეტჯერ არ დასწრებია. მე ამოვწერე 10 ყველაზე გამცდენი ჩვენი კოლეგა. 60 და მეტი სხდომა ეს არის სამი სესია, წელიწად-ნახევარი, ფაქტობრივად, — ამბობს უსუფაშვილი. სია, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა, ასე გამოიყურება: გიორგი ვაშაძე — 66 გაცდენა, ემზელ მკოიანი და ზაზა კედელაშვილი 74-74 გაცდენა, როლანდ ახალაია — 80 გაცდენა დავით ბეჟუაშვილი — 82 გაცდენა, გოდერძი ბუკია — 91 გაცდენა გოგი ლიპარტელიანი — 93 გაცდენა, liberali.ge



დავით უსუფაშვილი

რამაზ ნიკოლაიშვილი — 94 გაცდენა, აზერ სულეიმანოვი — 96 გაცდენა. კობა ნაყოფია — 101 გაცდენა. „აქ სიტყვები უაღვილოა. თუ ასეა საქმე, მაშინ ჩვენი უნდა ვიყოთ მათთან. ასეთი გაჭირვება თუ აქვს ვინმეს, ან ასეთი სიხარული თუ აქვს 2 წლის განმავლობაში ყოველ დღე ოჯახში. მესმის, რომ ჩემი სიტყვები ცინიკურად ყლერს, მაგრამ რაზე მეტყველებს ეს ყველაფერი, სიტყვები ზედმეტია. სხდომის გაცდენის ეს საფუძველი უნდა ამოვღოთ პარლამენტის რეგლამენტიდან.“ — განაცხადა დავით უსუფაშვილი.

ანალოგური სივრცე მაუნჯლოგაქა

ჩვენ ყველა მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლას ველოდებით, რაც 2015 წლის 17 ივნისს უნდა დასრულდეს. ეს თითოეულ ოჯახში მიწოდებული სატელევიზიო სიგნალის გაუმჯობესებულ ხარისხს უზრუნველყოფს. პროცესის დასრულებამდე ერთ თვეზე ნაკლები დროა დარჩენილი, თუმცა საქართველოს მოსახლეობას მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ საკმარისი ინფორმაცია მაინც არ აქვს. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მკითხველებისგან კითხვები მივიღეთ და გადავწყვიტეთ, ყველაზე სწორად დასმულ რამდენიმე მათგანს ვუპასუხოთ: როდის მოხდება მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლა და ამის შემდეგ რა შეიცვლება ჩემთვის? ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ცნობით, საქართველოში მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა 2015 წლის 17 ივნისს დასრულდება. ეს თარიღი არის ბოლო ვადა, როდესაც ქვეყანაში ანალოგური მიწისზედა სატელევიზიო ქსელი უნდა

გაითიშოს. ციფრული სიგნალის მიღება რამდენიმე გზითაა შესაძლებელი: ციფრული მიწისზედა ანტენით, ციფრული კაბელით, ინტერნეტით ან სატელიტით. თუ სატელევიზიო სიგნალს სატელიტის ან ინტერნეტის საშუალებით იღებთ, გაციფრულება თქვენზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან თქვენ უკვე ციფრულ სატელევიზიო სიგნალს იღებთ, ხოლო თუ ანალოგურ მიწისზედა სიგნალს იღებთ, თქვენი გადასაწყვეტია, რა საშუალებას აირჩევთ ციფრული სიგნალის მისაღებად. რა განსხვავებაა ანალოგურ და ციფრულ სიგნალს შორის? ანალოგური ტელევიზიისგან განსხვავებით, სადაც აუდიო და ვიდეო სიგნალის გადასაცემად მაგნიტური ტალღები გამოიყენება, ციფრული სიგნალი ბაიტების საშუალებით გადაიცემა. შედეგად ვიღებთ ციფრულ ინფორმაციას, რომელსაც კრისტალურად სუფთა გამოსახულება და უმაღლესი ხარისხის ხმა აქვს. როგორც ვიცი, ციფრული სიგნალი 17 ივნისამდე შემიძლია მივი-

ლო, როგორ გავაკეთო ეს? დიან, შეგიძლიათ. ზოგადად, ციფრული სატელევიზიო სიგნალი რამდენიმე საშუალებით და მათ შორის ანტენით, სატელიტის, კაბელის ან ინტერნეტის მეშვეობით გადაიცემა. სატელიტი ციფრული სატელევიზიო სიგნალით მთელ ქვეყანას ფარავს. ასე რომ, ციფრული სიგნალით უკვე შეგიძლიათ ისიამოვნოთ სატელიტით და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებებით. ამისთვის სულაც არაა საჭირო, რომ 17 ივნისს დაელოდოთ. გაციფრულების პროცესი მერგორ შეეხება? გაციფრულების პროცესი ძირითადად ეხება ხალხს, რომელიც ანალოგური მიწისზედა სიგნალის მისაღებად ტელევიზორის ანტენას იყენებს. სწორედ ამ მიწისზედა ქსელის გაციფრულება ხდება. მათ მოუწევთ, არჩვენა გააკეთონ, თუ რა გზით მიიღებენ ციფრულ სიგნალს. ხოლო თქვენთვის არაფერი შეიცვლება, თუ უკვე იღებთ ციფრულ სიგნალს, მაგალითად, სატელიტის მეშვეობით.

„აღაპიანი იბაღაბა ერთხელ...“

წყალტუბოში, ხელოვნების ქუჩის პირველ ნომერში, ჩაწულ-ჩახერგილ ღობის მიღმა, ერთი უცნაური კაცი ცხოვრობდა. თვითონ შექმნა ეს ქუჩა, პირველი და ერთადერთი მოსახლეც თავად გახლდათ. ადამიანი იყო — ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით: კარგი მეფუტკრე, კარგი მეზობრე, მეგობარე, ხურო, კალატოზი, მძლოლი... ბოლოს და ბოლოს (ან იქნებ, სულაც პირველ რიგში) — დიდებული მწერალი, ისეთი, სიცოცხლეშივე რომ აღიარეს...

პირველად 19 წლის წინ მივაღეჭი იმ ღობეს. მისი იყო. აკაციის თეთრად დახუნძლული ტევრის თავბრუსდამხვევი სურნელი და ფუტკრების ზუზუნი იმ მცირედენ გამბედაობასაც მაცლიდა, ამ ეზოსთან მოსვლამდე რომ მქონდა. ზარის დილაზე რამდენჯერმე უშედეგოდ თითის დაჭერის შემდეგ, უკანასკნელი სითამამე მოვიკრიბე და ტიშკარი შევადე. ორი უზარმაზარი ნაგაზი ავი ღრენით ჭიშკრისკენ გამოიქცა, მთლად რომ შევეჭამე მაშინ იმ ძაღლებს, მაინც არ ვიყავი გადაღმა გადასვლელი.

— ბუხუ! რუხო! — პატრონის შეძახილზე მყისიერად შედგნენ ძაღლები.

მასპინძელიც გამოჩნდა. ხელით მოიჩრდილა და შორიდანვე შემომძახა — რომელი ხარო?

— ჟურნალისტი ვარ — რაც შემიძლია, ხმამაღლა ვუპასუხე (მგონი გწურჩულდები).

მომიხლოვდა ამასობაში.

— რაღა გჭირს აბა, ჟურნალისტი თუ ხარ! რაშია საქმე?

— ინტერვიუს ალბა მინდა...

— ამ გაგანია მუშაობაში, კაცო? ვინ გამოგიშვა? — ცალი თვალი მოჭუტა და ისე მიყურებს.

უთხარი, ვინც...

უსიტყვოდ შებრუნდა, ძაღლებიც თან გაჰყვნენ. მე დავრჩი ტიშკართან. სახლის კიბესთან რომ მივიდა, მობრუნდა:

— რას გაშტერებულხარ მაქანე?

ჭიშკრისგან კიბემდე მანძილი (კაი სამოყვრო გზა) წამის მეთათვის დავიფარე ალბათ.

— რო დადგვი თავი და შემოტენტირდი ეზოში, რო დეგლიჯე ძაღლებს? ყველა წინადადება, რაც აქამდე წარმოსთქვა, საყვედური იყო — მეჭუჭლურებოდა...

— არ შემწინებია, მიყვარს ძაღლები.

მომეჩვენა, რომ ორივე თვალით შემომხედა.

ხის, ულამაზესრიკულებიან აივანზე ავედი. ხის დაბალი სავარძლების წინ მოგრობო ტაბლა იდგა, წიგნებით, ფურცლებით, ჟურნალები, გაზეთებით, საწერ-კალმებით, სიგარეტის კოლოფებით, საფერფლით... დაჯდა. მე აივნის ბოძთან ავიტუხე.

— დამიტოვე კითხვები და რო მევიცილი, მივიწერე ზედ პასუხებს.

— არ მაქვს დაწერილი კითხვები — ამოვილულლავი.

— აბა, კითხვებიც მე უნდა მევიფიქრო და პასუხებიც? — ბრაზობს.

— არ მინდოდა დაწერილი კითხვებით... ვიფიქრე, ვისაუბრებთ და...

— დაჯექი, დაჯექი და დევიწყით აბა საუბარი.

უპ, რაღაც იმედი გამიჩნდა.

ხვდები, პირველ კითხვაზე დამოკიდებული ყველა იმ კითხვის ბედი, დღესაც და მომავალშიც რომ უნდა დაუხსნა ამ კაცს.

საღდაც, ხვამლისკენ იყურება. არ მიყვარს მოსაუბრის მზერა სხვაგან რომაა მიმართული, მაგრამ ახლა მაგას დავეძებ? ღრმად ჩავისუნთქე და...

— ბავშვობაში, ყველა ზღაპარი ჩემთვის დაწერილი რომ მეგონა, უცებ, ვიღაც მეტიჩარა დაჩიმ, მთელი ზღაპრების წიგნი მითითავისა. იმ დაჩიზე დაუმარცხებელი მეტოქე მგონი არც მყოლია მერე არასდროს... — ამოვილულლავი.

არ მომეჩვენებია, ნამდვილად ორივე



თვალით მიყურებდა.

სახლში შევიდეთო. ასე შევდგი პირველი ნაბიჯი იმ საოცარ სახლში. უზარმაზარ, მინებიან კარადასთან მიმიყვანა.

— აქ სულ „დაჩის ზღაპრების“ გამოცემები. მსოფლიოს ხალხთა ოცდაათზე მეტ ენაზე თარგმნეს და გამოცეცეს. ა, ბატონო, აგერ, იაპონელებს გადოუთარგმნიათ. მიკვირს, რას გებულობენ იაპონელები, ქართულ ზოგმებს აღარ ესმით არაფერი და...

მერე თითქმის სამი საათი ვსაუბრობდით:

იმავზე, როგორ დაუწერეს სამხატვრო აკადემიაში, მისაღები გამოცდებისას, ქართულის გამოცდაში ორიანი და როგორ უმტკიცებდა მას შემდეგ ცას და ქვეყანას, უპირველესად კი, თავის ქართულის მასწავლებელს — ქეთევან ბალანჩივაძეს, სამიანზე ვიცი ქართული. იმაზე, როგორ წაიკითხა პირველად საკუთარი წიგნი:

— წიგნი თუ არ გაქ, შენ უნდა დაწერო და ისე მაინც უნდა წიკითხოო. იმაზე, როგორ დახატა გამზრდელი ბებიას პორტრეტი:

— დავახატებდი ვინმე კარგ მხატვარს ბებიჩემის პორტრეტს უკეთესად, მარა ყველამ თვითონ უნდა დახატოს თავისი ბებიას პორტრეტი, სხვა ბებიას ვერ დაგინატავსო. კიდევ ბევრ რამეზე...

წიგნი მაჩუქა, წარწერით — „მეგობრობას ასაკი ხელს არ უშლის“.

ამაყმა და ბედნიერმა გადმოვბიძეე იმ ეზოდან. აკაციის ტევრის სურნელი და ფუტკრების ზუზუნი მიმაკილებდა. იმის შემდეგ უამრავჯერ ვიყავი იმ სახლში.

განსაკუთრებულად მახსენდება 2000 წლის 16 ივნისი. 70 წლის ვახდა იმ დღეს. ზარ-ზეიმები და იუბილეები სხვისი ეჯავრებოდა და საკუთარს როგორ აღნიშნავდა? მაინც აღუნიშნეს.

„რომ აყვირდები და ატეხავ განგაშს: არიქა! მოდით, გაიხარეთ, გვეწვიეთ, გაბედნიერდით (ამ დროს ქვეყანა თავზე გვეწვრევს)!

— რა მოხდა? რა გვედირსა ამისთანა? გადავრჩით? ავშენდით?

პასუხი ერთობ პატივმოყვარული და უხნოა:

— მე დავიბადეო „ის დღე მასთან ერთად გავატარეთ.

ადრინად ვეწვიე, ცნობილ ფოტოხელოვან გურამ გერსამიასთან ერთად.

— სულ იმას ვიძახი, მარტო გერსამიამ, მარტო გერსამიას-თქვა... გაზეთი მომიტანე?

— გაზეთი... გაზეთი, ბოლო ნომერი, გუშინწინ ხომ გამოგიგზავნიეთ?

— თუ გინდა, მქონდა... წამეგელო მაინც, რაღა, მეტი არ გეშოგებოდათ თუ ამიყროლდებოდა?

მოდიან მისი მეგობრები, მკითხველები, მომკითხველები...

— მამატიეთ, აქ მოსვლით რომ შეგაწუხებ, ეს შეწუხება თავის მართლებად ჩამითვალეთ, რომ ქვეყნის დაქცევას ხელი ვერ შევუშალე. ამ ქვეყანაში, პატიოსანი კაცი, წესით, სამოცდაათ წელს ვერ უნდა ცოცხლობდესო.

განსაკუთრებით ერთი კაცის მოსვლა უხარია — დიდებული მომღერლის და გამრჯე გლეხკაცის, ვაჟა კუბლაშვილის.

— ვევირბებით ერთმანეთს, ვინ უკეთესი გლეხიაო. ხმებს გვივრცელებენ, თითქოს მე მეტყვას — შენ რომ ღვინოს წურავ, იმდენი მე ღვინის გადაღებისას მექცევო, შენ კი, თითქოს შემოგითვლია: შენ რომ ღვინით ავსებ, ის ჭურჭლები მე თავლით მაქვს სავსეო — ამბობს ვაჟა და ეშმაკურად უღიმიან ერთმანეთს ორი ბატონის — მიწის და მუხის — ყმები.

უხიავი და უქმეხი კაცი იყო, ერთი შეხედვით...

მაგრამ, ისეთი ფაქიზი სული ჰქონდა, ისეთი ლირიკა... ბევრმა არც იცის ალბათ, ლექსებს რომ წერდა:

„დღეს ქარი იქნება იფნებთან. ისეთი ქარი, შენ რომ გიყვარს...“

დღეს ქარი იქნება იფნებთან, მაგრამ, ვაი, რომ შენ აღარ იქნები!

დღეს მე უშენოდ ვიქნები იფნებთან! ... და შენ, ფიქრო ჩემო, დარდო ჩემო, ჩემო ქარო და იფანო,

თეთრად დაწერტილო დამეც... დღეს ქარი იქნება იქნება იფნებთან და იცი, რას ვიზამ?...“

უშენოდ მე ვერას ვაგუგებ ქარს, უშენოდ რას მეტყვიან, რას გამიმხელენ იფნები!

ქარი იქნება იფნებთან, ისეთი ქარი, შენ რომ გიყვარს! ნუ ფიქრობ, უშენოდ არ წავალ იფნებთან...

წავალ, უშენოდ წავალ და ყურს მივუდებ...

და იმ ქარს, შენ რომ გიყვარს, დავიმახვრებ...

დავიმახვრებ ქარს იფნებში და, როცა შენ ჩემთან აღარ იქნები შენ, ფიქრო ჩემო, დარდო ჩემო, ჩემო ქარო და იფანო,

თეთრად დაწერტილო დამეც... დავიმახვრებ ქარს იფნებში და გეტყვი შენ, გეტყვი, როცა ჩემთან იქნები...“

მაგრამ, ვაი, რომ შენ ჩემთან აღარასდროს იქნები.

დღეს კი, ქარი იქნება იფნებთან...“

გამუდმებით ეწეოდა, სულ ნაპერწკალი ციმციმებდა მის მუნღმტუკებსა და ყალიოვნებში.

— ნუ ეწევი ამდენსო!

— რაღა, მოუწვევი მკვდარი არ გინახიათო?

ერთხელ მიაბო:

— ყაზახეთში ვიყავით ქართული მწერლები, იქაური მწერლები გვმასპინძლობდნენ. როგორც ჩვენ ვიცით, საპატიო სტუმრისთვის ხბოს ან გოჭის დაკვლა, იქ ასე კვიცს კლავენ. დამანახა ჩემმა მასპინძელმა — ე, ის კვიცი უნდა დაგიკლათო. გადავირეი კაცი, ცხენს რა შემაჭმევდა? არადა, მასპინძლის დიდ შეურაცხყოფად ითვლება თურმე უარის თქმა. მაინც გავბედე და ვუთხარი, ვერ შეგვჭამ მაგას, მეცოცება-თქვა. „ა ფარასიონკა ნე ყალკაო?“ — მიმიხვდა ეშმაკობას ყაზახი.

ავადსახსენებელი სენის დიაგნოზი რომ დაუდგეს, არ შემინებულა, არც გატენილა — ბოლო დღეებამდე ჩვეული რიტმით ცხოვრობდა.

„ბევრი ვაკეთე და ვაშენე, მეყოფა, აწი სხეებმა აშენონ და აკეთონო, — რომ იტყვი და ხელგებს დაიბან, იცოდე, იმ დღიდან ანგრე, თუ რამე ავიშენებოდა“ — ამბობდა.

„ვინც არ მომკვდარა, მან სიცოცხლის ფასი არ იცისო“ — ესეც თქვა.

81 წლის ასაკში აღესრულა.

„დაიხარჯაო“ — აჭარაში ამბობენ ადამიანის გარდაცვალებისას.

ის უცნაური კაცი მართლაც რომ დაიხარჯა — მეფუტკრეობაში, მევენახეობაში, მეზუზუნეობაში, ურობაში, კალატოზობაში... მწერლობაში დაიხარჯა და წავიდა...

თუმცა, არსადაც არ წასულა, ისეც იქ არის, იმ ჩაწულ-ჩახერგილ ღობის მიღმა, აკაციის ყვავილები ეფინება მისი საფლავის ქვას — მასსავით უბრალოსა და დიდებულს, ფუტკრებიც ისეც დაუზუნებენ...

გადავიკითხე ეს მოკრძალებული მოგონება და სახელი არ მითქვამს თურმე არსად.

კი, ოტია იოსელიანზე მოგახსენებდით...

„ჩემი ერთი ნუთი“

ქუთაისში, სამეფო კომპლექს „ოქროს ჩარდახში“ სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობის“ ფარგლებში, კონკურსის „ჩემი ერთი ნუთი“ შემაჯამებელი, ფინალური ეტაპი გაიმართა.

კონკურსი ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა სამოქალაქო განათლების პროგრამაში ჩართული იმერეთის საჯარო სკოლების მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეებისთვის გამოაცხადა.

სპეციალურად ფინალური ეტაპისთვის შეიქმნა ჟიურის წევრები — ჟურნალისტი დავით ლიკლიკაძე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი თამთა თურმანიძე, გაეროს ასოციაციის წარმომადგენელი ილიკო ნაცვალძე.

ფინალურ ეტაპში 18 მოსწავლე მონაწილეობდა. კონკურსის მონაწილეებმა წარმოადგინეს ერთნუთიანი სიტყვა, თავიანთი დამოკიდებულება მათთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. ჟიურიმ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, სამი გამარჯვებული გამოავლინა.

პირველ ადგილზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარდუბანის საჯარო სკოლის მოსწავლე ქეთევან ბოგვერაძე

გავიდა, მეორე ადგილი ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეს, სოფელ შველიძეს ხვდა წილად, ხოლო მესამე ადგილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეეთის საჯარო სკოლის მოსწავლემ, დიმიტრი გუმბერძემ აიღო.

გამარჯვებულებს საჩურები და დიპლომები გადაეცათ. ასევე, დიპლომი მიიღო კონკურსის ყველა მონაწილემ.

ქუთაისმა უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

უკრაინელი ჟურნალისტები და ტურმოპერატორები საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაცნობის მიზნით ქუთაისში იმყოფებოდნენ. ჟიურემ მოქმედი ნაციონალური არხებისა და გაზეთების რედაქტორები, პროდუსერები და წამყვანი უკრაინელები ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში ადგილობრივ მთავრობასა და ტურმოპერატორებს შეხვდნენ.

ქუთაისის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თემმართველობის ქონების მართვის სამსახურმა უკრაინული ტელეარხებისათვის იმერეთის ისტორიული ღირსშესანიშნაობების შესახებ პრეზენტაციას გამართა. ბოტანიკურ ბაღში უკრაინული მედიის წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, ქართული ფოლკლორის და ეროვნული სამზარეულოს გაცნობოდნენ. სტუმრებმა ასევე იმერული ღვინოები დააჭაშნიკეს. უკრაინელი ჟურნალისტები ქუთაისზე ვრცელ რეპორტაჟს ამზადებენ.

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

ქუთაისში უკრაინელ ჟურნალისტებს უმასპინძლა

რა უნდა იცოდნენ ადგილობრივი მედიის მფლობელები

„ადგილობრივი ინფორმაციული პორტალი, როგორც ცალკეული მედიპროდუქტი“, — ამ თემაზე ქართული ადგილობრივი გაზეთების წარმომადგენლებისთვის პოლონურმა ფონდმა „განათლება დემოკრატიისთვის“ სამდღიანი ტრენინგი გამართა თელავის მედიაკავშირში. ტრენინგებს წარმართავდნენ: ფონდის კოორდინატორი აგნეშკა ნოვინკა, პოლონეთის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილობრივი გაზეთის, კვირეული „პრელომის“, ასევე, პორტალ „przelom.pl“-ის გამომცემელი, ადგილობრივი გაზეთების ასოციაციის თავმჯდომარე ალიცია მოლენდა და ასოციაცია „დემოკრატიული აღმოსავლეთი“-ს ტრენინგი მარჩინ ბანიკი. საქართველოში პროექტის პარტნიორია კავკასიის ჟურნალისტიკა საერთაშორისო ცენტრი ICFJ.



აგნეშკა ნოვინკა

ციო პორტალამდე, როგორ გავიცნოთ მკითხველი და როგორ მოვიქცეთ ინფორმაციისთან? — ეს იყო შეხვედრის საკვანძო საკითხები. ტრენინგებმა ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: თუ როგორ უნდა უზრუნველყოთ ქართული ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებმა გაზეთში დაბეჭდილი რეკლამის პორტალზე განთავსება და პირიქით. განხილულ საკითხებს შორის იყო ასევე google რობოტის მუშაობის პრინციპის გაცნობა — ჟურნალისტიკური ტექსტისთვის როგორ უნდა შეირჩეს საკვანძო სიტყვები და როგორ უნდა ვარჩინოთ

პორტალი. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ტრენინგები მხოლოდ თეორიულ პოსტულატებს არ ეყრდნობოდნენ და საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას უზიარებდნენ ადგილობრივი ქართული მედიის გამომცემლებსა და ჟურნალისტებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ტრენინგზე პოლონურმა ფონდმა უკვე მეორედ გამოაცხადა კონკურსი პროექტის მონაწილე ადგილობრივი გაზეთებისთვის რამდენიმე ნომინაციაში, რაც დიდი სტიმულია რეგიონის ჟურნალისტებისათვის, რომ გააუმჯობესონ პორტალის მუშაობა, შექმნან მაღალი ხარისხის ფოტო-ვიდეო მასალები თუ ნიუსები. გამარჯვებულები ჯილდოვდებიან როგორც ციფრული ტექნიკით, ასევე — პოლონეთში სტაჟირებით.

ტრენინგის დასასრულს ჩვენ ბლიც-ინტერვიუ ჩავწერეთ პოლონური ფონდის კოორდინატორთან, ქალბატონ აგნეშკა ნოვინკასთან, რომელმაც საუბარში აღნიშნა, რომ ადგილობრივი გაზეთების მნიშვნელოვანი როლი უკავიათ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში და მათი ნაბიჯი ზუსტად უნდა იყოს გათვლილი. ისინი უნდა ამუშაებდნენ ლოკალურ დონეზე არსებულ პრობლემებს და არ უნდა ავიწყებოდეთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობას სწორედ ეს აინტერესებს.

ბლიცი

— ქალბატონო აგნეშკა, რომელი წლიდან ახორციელებთ საქართველოში პროექტებს და რა არის თქვენი მიზანი?

— ფონდი „დემოკრატიული აღმოსავლეთი“ საქართველოში 2007 წლიდან მუშაობს. აღნიშნული პროექტი პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის ფარგლებში ფინანსდება. ასევე, პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული ფონდის „თავისუფლების“ პროგრამა RITA-ს ფარგლებში და ახორციელებს ფონდი „განათლება დემოკრატიისთვის“.

ჩვენ ვცდილობთ, დემოკრატიის განვითარების გზაზე მხარი დაუჭიროთ ზუსტად იმ ქვეყნებს, რომლებიც დემოკრატიის მიმართულნი არიან პირველ ნაბიჯებს დგამენ. აქედან გამომდინარე, შევარჩიეთ ქვეყნები, სადაც ვახორციელებთ პროექტებს და მათ შორის არის საქართველოც. მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი მედია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ამ რთულ გზაზე.

— რა ნიშნით არჩევთ ადგილობრივი მედია ორგანიზაციებს?

— შეხვედრაზე მოწყვეული არ იყვნენ იმ გაზეთის წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი. ვმუშაობთ მხოლოდ იმ მედიაპორტა-

ლებისა და გაზეთების წარმომადგენლებთან, რომლებიც დამოუკიდებლად საქმიანობენ დემოკრატიის გზაზე და, ბუნებრივია, უჭირთ ნაბიჯების გადადგმა. თავდაპირველად ჩვენ ვეძებდით თითოეული მუნიციპალიტეტის დონეზე არსებულ მცირე ადგილობრივ გაზეთებს, რომლებიც ყველაზე დაბალ დონეზე იქნებოდა. მიგვაჩნია, რომ თითოეულ მუნიციპალიტეტში არსებული დამოუკიდებელი გაზეთი ძალიან დიდი საყრდენი და საფუძველია დემოკრატიზაციის გზაზე.

— რა საკითხები აქვთ გამოსასწორებელი რეგიონებში მედიაპორტალს?

— ქართული ადგილობრივი გაზეთებისა და პორტალების ძირითადი პრობლემა არის ის, რომ მათ უნდათ, რომ მოიცვან მთელი ქვეყანა, უფრო ფართო რეგიონისთვის მუშაობდნენ, ვიდრე მათი ლოკალური სივრცეა. ნაკლებად აფასებენ იმას, რომ მუშაობდნენ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ადგილობრივი გაზეთში უნდა იყოს მხოლოდ ლოკალური ინფორმაცია, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აინტერესებს. ქვეყნის ფარგლებში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივი მოსახლეობა ცენტრალური ტელევიზიითა და გაზეთებიდან ისედაც ნახავს.

ლალი ზეგალია

სიფრული გაუნახელობა საქართველოში: რა ჩივს ისევ პრობლემა?

პირველი გვერდიდან


მთავრობაზე დამოკიდებული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც ამ ეტაპზე შპს „სტერეო I“-ის მიერ წარმოდგენილი ახალი გრაფიკის შესაბამისად NeMUX-B და NeMUX-E ლიცენზიებში ცვლილებების შეტანის თაობაზე მსჯელობს. გადაწყვეტილება 16 ივნისს 16:00 საათზე უნდა მიიღონ. საკითხის ზეპირი მოსმენა 4 ივნისს უკვე შედგა.

კომისიაში განმარტავენ, რომ ახალი გრაფიკის აუცილებლობა შპს „სტერეო I“-ის მიერ ციფრული მაუწყებლობის უზრუნველსაყოფად ქსელის ფორმირების სამუშაოების ლიცენზიით განსაზღვრული გრაფიკის ვადების დარღვევა გახდა. რის გამოც კომპანიამ წერილობით გაფრთხილება კი მიიღო. „იმ შემთხვევაში, თუ 16 ივნისამდე საქართველოს მთავრობა, თავისი დადგენილებით, შეიმუშავებს საქართველოში ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვის ეტაპობრივ გრაფიკს, ის (გრაფიკი) აისახება შპს „სტერეო I“-ს NeMUX-B და NeMUX-E ლიცენზიებშიც.“ — განუცხადა Geo-Digital.TV-ს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე აღნიშნავს, რომ ციფრული მაუწყებლობაზე გადასვლას 17 ივნისისთვის ვერ ასრულებენ მეზობელი ქვეყნებიც — აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი.

„თუ ვერ მოასწრო მოსახლეობამ სეტ-ტოპ ბოქსების შეძენა, რაც აუცილებელია, ეს იმართვის, ვინც სიგნალს ოჯახური ანტენით ღებულობს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გვინდა, რომ დარჩეს ორივე წყარო. პარალელურ რეჟიმში ხდებოდა მოხმარება, როგორც ანალოგურის, ასევე — ციფრული მაუწყებლობის.“ — ამბობს ტყემალაძე.

ხანგრძლივი თუმცა, ალბათ, არასაკმარისი საინფორმაციო კამპანიის შედეგად, რეგიონებში საზოგადოების ნაწილისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია, რა საჭირო იყო ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა?



ესეც რომ არა, უმეტესობისთვის პრობლემას წარმოადგენს ციფრული სიგნალის მისაღებად საჭირო მოწყობილობის set-top box-ის შეძენა, რაც სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიებში უკვე იყიდება. მისი ფასი 50 ლარიდან იწყება. სახელმწიფო სტრატეგიის მიხედვით, სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-ს ნაკლებია, სპეციალური დახმარების ფარგლებში სეტ-ტოპ ბოქსებს უფასოდ მიიღებენ. დახმარების მიღმა რჩებიან პენსიონერები, რომელთაგან განსაკუთრებით დიდი პრობლემის წინაშე დგანან მარტოხელები.

ამ საკითხთან დაკავშირებით რედაქციას სპეციალურად დაუკავშირდა ქუთაისის მკვიდრი, 72 წლის ნანი ხომერიკი. მისი თქმით, ძალიან რთულია, როცა სახელმწიფო არ ითვალისწინებს მოსახლეობის შესაძლებლობებს. მას არ შეუძლია, გადაიხადოს თანხა სიგნალის მისაღებად. უკმაყოფილოა, რომ ციფრული სიგნალის მისაღებად საჭირო სპეციალური მოწყობილობის ყიდვა, ამით კი მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი, მეორე არხის და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ხილვა შეეძლება. საკაბელო ტელევიზიის ინსტალიაცი-

ისთვის ყოველთვიური გადასახადის გადახდა ერთჯერადად და დამატებითი თანხის გადახდა მოუწევს.

„მთელი საქართველო გადადის ციფრულ მაუწყებლობაზე, ამის შემდეგ თუ ჩართული არ იქნები ამ მაუწყებლობაში, ტელევიზორი გამეთიშება. იმისთვის, რომ ვუყურო არხებს, მომიწევს, ჩავართო საკაბელო ტელევიზია. ამაზე დამატებითი გადასახადი მექნება. როგორ გავწვდეთ ამდენ გადასახადს. ჩვენი მიზნობრივი პენსიონერი, რომელიც 150 ლარია, კომუნალური გადასახადები გადაიხადო, ჰამა არ მინდა თუ სმა. თუ რადგან პენსიონერები ვართ, არც ტელევიზია გვინდა, არც ჩაცმა და დახურვა?“ — აღნიშნა ნანი ხომერიკმა.

საინტერესოა, რა პრობლემის წინაშე დგას მოსახლეობა. რამდენი ადამიანი ინფორმირებული აღნიშნული სახლის შესახებ და მზად ციფრულ საეთერო სიგნალზე გადასასვლელად?

ამასთან დაკავშირებით, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მიგმართეთ კითხვით: ჩატარებული ჰქონდათ თუ არა კვლევა და ფლობდნენ თუ არა ინფორმაციას, საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტი შეძლებდა 17 ივნისიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას, აქვთ

საჭირო სახსრები და შესაძლებლობა, თავად მოავარონ აღნიშნული მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული პრობლემები?

ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს პრესსპიკერის, სალომე გელაშვილის თქმით, ციფრული მაუწყებლობის სააგენტო მოქმედებს მისთვის მინიჭებული ბიუჯეტისა და მთავრობის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც არ ითვალისწინებდა კვლევების ჩატარებას. ამასთან, ამგვარი კვლევის სანდოობა უფრო მაღალი იქნებოდა, თუ კვლევას ჩაატარებდა არა ციფრული მაუწყებლობის სააგენტო, არამედ — პროცესში ჩართული რომელიმე ნეიტრალური მხარე.

ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს საიტზე მოცემულია კითხვარი, რომელზეც ამ დროისთვის პირველ კითხვებზე: „იცით თუ არა, რომ 2015 წლიდან საქართველო გადადის ციფრულ მაუწყებლობაზე“ — უპასუხა 7720 მნახველმა, რომელთა 87% ადასტურებს, რომ იცის ამ ცვლილების შესახებ. ხოლო კითხვებზე: „ხართ თუ არა მზად მაუწყებლობაზე გადასასვლელად“, 9617 მნახველიდან მხოლოდ 48%-მა გასცა დადებითი პასუხი, 52% კი ჯერ მზად არაა გადავიდეს ახალ ციფრულ მაუწყებლობაზე.

ბოლო 3-4 დღის განმავლობაში თითქმის 2000-მა ადამიანმა დააფიქსირა პასუხი, შედეგად კი მივიღეთ საზოგადოებაში არსებული რეალური სიტუაციის ამსახველი სტატისტიკა. საიტზე შემსვლელთა ნახევარზე მეტი არ არის მზად ციფრული მაუწყებლობისთვის.

ხოლო კითხვებზე: გაქვთ თუ არა კონტაქტი იმ მოსახლეობთან, რომლებსაც არ აქვთ სოც. დახმარება, წარმოადგენენ საპენსიო ასაკს და მათი ერთდღერი შემოსავალი სახელმწიფოს მიერ დანიშნული პენსიაა, 150 ლარის ფარგლებში. რამდენად გაქვთ გათვალისწინებული მათთვის ციფრული მაუწყებლობის მიღებისთვის საჭირო მოწყობილობის „სეთ-თოფ ბოქსის“ შეძენა, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსგან შემდეგ პასუხი მივიღეთ: სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირება ვრცელდება იმ ოჯახებზე, რომლებსაც აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი და რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-ს ნაკლებია (2014 წლის ნოემბრის მონაცემებით). სეთ-თოფ ბოქსის „მონტაჟი“ გულისხმობს კაბელების მიერთებას და არხების მოძებნას. შეერთების სქემა და ტექნიკური პარამეტრების გადაწყობის თანმიმდევრობა მოსახლეობას შეუძლია, იხილოს საინფორმაციო ფლაერებში, რომელიც მოსახლეობას არაფრთხელ უროგდება, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.digitaltv.ge, შეუძლიათ მოგვებთან სოციალურ ქსელში www.facebook.com/cigitaltv.ge. 24 საათის განმავლობაში მუშაობს ცხელი ხაზიც: 1480

იმისათვის, რომ მოსახლეობამ მოულოდნელი სიურპრიზებისგან თავი დაიხლოვოს, მნიშვნელოვანია ციფრული სიგნალის მიღების გზა აირჩიოს. თანამგზავრული, საკაბელო, IPTV თუ მიწისზედა ციფრული ტელევიზია.

თქვენი არჩევანი არსებულ ბიუჯეტზე და არხების რაოდენობაზე დამოკიდებული. თანამგზავრულ, საკაბელო, IPTV სერვისები ფასისა და ამგვაროვლად, ტელეპროვაიდერები მომხმარებელს ყოველთვიური გადასახადის სანაცვლოდ, არხების მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობენ.

ლალი ზეგალია

კვირის პირობები

ვერძი: უმჯობესია საკუთარ თავს გაუფრთხილდე.

ნუ გადაიტვიტებ, უმჯობესია ახლოობების დახმარებით ისარგებლო. დროა გულახდილად ისაუბროთ ვინმესთან, ამით უდიდეს შედეგს იგეგმავ. ასევე შესაძლებლობა მოგეცემათ, გარემომყოფები საკუთარი დამოუკიდებლობითა და ხასიათის სიმტკიცით გააცნოთ. მართალია, თქვენი ნატურიდან გამომდინარე, როგორც წესი ძირითადად გუნდში მუშაობა გირჩევნიათ, მაგრამ ახლა ის შემთხვევაა, როცა გუნდურ თამაშს, საკუთარი ინდივიდუალური უნდა დაუპირისპიროთ და წარმატების მისაღწევად დამოუკიდებლად იმოქმედოთ.

კურო: ეცადეთ, არაფერი მნიშვნელოვანი არ გადაწყვიტოთ, რადგან დასახული გეგმები შეიძლება 100%-ით უკუღმა შემოვიტრიოდეთ.

ტყუბუბი: ნუ აპყვებით ცდუნებას. ნუ გეჭენებათ იმის იმედით, რომ როგორც ყოველთვის გაგიმართლებთ. უმჯობესია, ავეთოთ ის საქმე, რომელსაც ბევრი მაპარაკი არ სჭირდება. ამ კვირაში მეგობრები გესტმრებიან და შესაძლოა, მათ დიდი სიურპრიზი მოგიწყონ.

კირჩხიბი: არ ღირს დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების მიღება. უმჯობესია 7-ჯერ გაზომოთ და ერთხელ გაჭრათ, ვიდრე ფიასკო განიცადოთ. თუ მნიშვნელოვანი შეხვედრა გაქვთ, კარგად დაფიქრდით და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება.

ლომი: გადაჭარბებულმა ამპარტანობამ და იმპულსურობამ შეიძლება გამოიწვიოს ნაჩქარევი ნაბიჯის გადადგმა. გაიზრდება საკვებით მოწამლის, საყოფაცხოვრებო ტრავმების და საგზაო შემთხვევების საფრთხე. ყოველ ნაბიჯზე თქვენ გელით წარმატება.

ქალწული: თქვენ არ იქნებით კარგი მოსაუბრე, რადგან იქნებით ორიენტირებული საკუთარ პრობლემებზე. თუმცა, თუ არსებობს პრობლემა, უნდა არსებობდეს მისი გადაწყვეტის გზაც.

სასწორი: რთულია მიუახლოვდეთ მიზანს, ვერ კიდევ ბევრი გრჩებათ იქამდე. გაემგზავრეთ სადმე, ნებისმიერი მგზავრობა სასარგებლო იქნება თქვენთვის.

მორიელი: მიეცით საშუალება გონებას გადაანაწილოს პრიორიტეტები, ნაკლებად იხელმძღვანელოთ გრძნობით. სიმპატიები და ანტიპატიები სამსახურებრივ სიტუაციებში მიუღებელია.

მშვილდოსანი: შეგიძლია ავეთოთ ის, რაც სწორად მიგაჩნიათ. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ყველაფერი რაც მოხდება, მხოლოდ თქვენი საქციელის შედეგი იქნება.

თხის რქა: მტრები მეგობრებზე ახლოს იყოლიეთ, ამას ის ადამიანები გვირჩევენ, ვინც ნამდვილად იცის ცხოვრება და ბევრი რამე უნახავს. გაითვალისწინეთ ეს რჩევა, ყურადღებით იყავით იმის მიმართ, თუ რა ხდება თქვენს გარშემო. ნუ შეგეშინდებათ საკუთარი ინტერესების დაცვა. შეეცადეთ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას, მხოლოდ ცივი გონებით იხელმძღვანელოთ და ემოციებს ნაკლებად აპყვეთ.

მერწყული: დაიწყეთ მოქმედება მიზანდასახულად, ასე თქვენ ყველაფერს მიადრწევთ. მზად იყავით გუნდურად იმოქმედოთ. კვირის ბოლოს შესაძლებელია, ფინანსური შემოსავალი მიიღოთ.

თევზები: ნუ აჩქარდებით, არა სასურველი პერიოდია ფინანსებთან დაკავშირებული ოპერაციების განსახორციელებლად. არ ენდოთ ამ კვირაში შემთხვევით გაცნობილ ადამიანს.

გაიხანით ზურაბ მელიქიშვილის პოეზია — „ლურჯი საყურა“

ქართული პოეზია — ეს ის საგანძურია, რომელიც წინაპართაგან დაგვჩა, თუმცა, ფასეულობების შეცვლამ, ქართული სულის გამოფიტვამ ეს საგანძურიც ტრადიციებით მიაძინა... წიგნი თითქმის უინტერესო „ნივთი“ გახდა, ის სოციალურმა ქსელმა შეცვალა... თუმცა, საბედნიეროდ (სწორედ სოციალურ ქსელში არსებული ჯგუფის მეშვეობით), უამრავი ადამიანი აღმოვაჩინე, რომელთა შემოქმედების წყალობითაც იმედი მომეცა, რომ ქართული სულიერებით ჯერ კიდევ შეგვიძლია ყველაზე მაღალ საფეხურზე ვიდგეთ.

ახლა შემოგთავაზებთ ქართველი ახალგაზრდა პოეტის, ზურაბ მელიქიშვილის ორ ლექსს, რომელიც გაგრძობინებთ მისი პოეზიის „სიმხურვალეს“. სხვათაშორის, ვფიქრობ, რომ ზურაბის შემოქმედება სწორედ ისეთი უცნაურობითა და სილამაზით გამოირჩევა, როგორც ვაჟა ფშაველას შემოქმედება. წარმოშობით, ზურაბ მთელია, მან ლექსების წერა 5 წლის ასაკიდან დაიწყო, თუმცა, როგორც ყველა პატარას, არც მას შეუფასეს ნაშრომი და სამწუხაროდ, არც პირველი ლექსია შემონახული. იგი 30 წლისა და მისი შემოქმედება ქართულ ტკივილსა და სიბზოს უცნაური სილამაზით გადმოგვცემს, რაც იშვიათი ნიჭის დამსახურებაა. წარმატებებს ვუსურვებთ ზურას და მასთან ერთად, — ყველა ნიჭიერ პოეტს.

სალომე სილაბაძე



ლურჯი საყურა

პორიზონტს შეაბეს შეიდფერა
საყურე,
ბალახზე ანთა მზისფერი წვეტები,
მე დღესაც ვერაფერ დავიმსახურე,
რიგია და ვერც დღეს მიღებენ
ლომრთები.
და მზერადახრილი მიყვები
დალამდა და ბახუსს შეეხსენი

ტროტუარს,
თითქოს გზას მითმოხენ შემხმარი
ფოთლები,
დღეს არა, არ ვგეგვარ დაწყველო
დონკუანს,
ჩემს ხელებს დღეს მხოლოდ
იგრძნობენ ბოთლები.

რომელი კურორტი რა დაავადებას კურნავს

საქართველოში უამრავი კურორტია, რომელთაც სხვადასხვა დაინშნულება აქვთ.

ნალვერი

წალვერი არის კლიმატურ-ბანეოლოგიური კურორტი, რომელიც გარშემორტყმულია მთლიანად წიწვოვანი ტყით, აქ მდებარე მინერალურმა წყაროებმა და სუფთატენიანმა ჰაერმა განაპირობა, რომ წალვერი საუკეთესო საშუალებაა კომპლექსური დაავადებების სამკურნალოდ.

წალვერში კურორტული მკურნალობის ჩვენებებია: ქრონიკული გასტრიტი, ჰეპაროკოლეციტი და საშარდე გზების დაავადებები.

ბაკურიანი

ბაკურიანი არის მაღალი მთის საუკეთესო კურორტი, აქ არის მშრალი ჰავა, და შესაბამისად, აქ ზამთარი საუკეთესო სეზონია დასვენებისთვის ბაკურიანის კურორტი სასარგებლოა ისეთი დაავადებებისთვის როგორებიცაა: სასუნთქი გზების არატუბერკულიოზური დაავადებები, ქრონიკული ბრონქიტი, მეორეული სისხლნაკლებობა, რაქიტი და ბრონქული ასთმის მსუბუქი და საშუალო ფორმები.

შოვი

შოვის კურორტი საქართველოს

ტერიტორიაზე ერთ-ერთი გამოჩენილია მინერალური წყლებით, ჯერჯერობით, მას მხოლოდ საჭმლის მომნელებელი სისტემისა და საშარდე გზების დაავადებებზე სამკურნალოდ იყენებენ, შოვის ჰავის თავისებურებები ხელსაყრელია კომპლექსური მკურნალობისთვის. მკურნალობის ჩვენებებია: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, სასუნთქი გზების დაავადებები, ბრონქიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ქრონიკული ჰეპატიტი, ძვალ-სახსართა სისტემების დაავადებები და სხვა...

ბახმარო

ბახმარო საქართველოს ულამაზესი კურორტია, მისი თვისებების გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელი ზაფხულშია, აქ არის ზღვის ჰავასთან შერწყმული საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა, ბახმაროში მკურნალობის ჩვენებებია: გულ-სისხლძარღვთა, და სასუნთქი გზების დაავადებები

აბასთუმანი

აბასთუმანი ცნობილია გამაჯანსაღებელი ჰავითა და გოგირდოვანი წყლებით, მკურნალობის ჩვენებებია: ფულტუების ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმა, და მისი თანხლებით მიმდინარე დაავადებები, ტუბერკულოზური ლიმფატები, და პლევ-

საკინძე,
ოთხში ვერაფერ თამბაქოს ნისლი,
კაშენ და ქურთუკი შეწუხდნენ
საკიდზე
და წუთებს, წასვლამდე დარჩენილს,
ითვლიან.

პორიზონტს მოერგო კუპრივით
სულარა,
აღარსად არ ჩანდა შეიდფერა
საყურე,
არვისთან არ ღირს-თქო ხეწუნა-
მულარა,
ვთქვი ჩუმად და კარი შეიგნიდან
დავხურე.

სავარძელს მივანდე დალილი
სხეული,
ჰაერს კვლავ ვერაფერ თამბაქო
ხუთავდა,
მე უკვე ვიყავი ხილვებდ ქცეული,
მიწა რომ მტრედისფერ განთიადს
სუნთქავდა.

ბალახზე ელავდნენ მზისფერი
წვეტები,
მე შენთვის მიხდოდა შეიდფერა
საყურე,
შენ მულამ ჩაუქრო, სანთელად
ენტები,
რომელიც რატომღაც ვერ
დავიმსახურე.

აწმყოს ნამუსი ისე ახადეს,
არც მოიკითხეს წარსული მისი,
მანდილს ვინ ჩივის, კაბაც გახადეს
და უზნეობა ჩააცვეს სხვისი.

შემოგვეჩვია სალათის ძილი,
ქართულ მიწაზე უცხო მტვერია,
დღეს ქართველობა აღარ ღირს
ძვირი,
ახლა ის ვისთვის მწვანე ფერია.

მაგრამ ამ სოლომს ნებადართულად,
კულის მოქნევის შერჩა მისია.
და ერი თუ კი იშვა ქართულად,
საქართველოში ყოფნის ღირსია.

და მოვა ყამი, იქნება ფიცი,
კვლავ ვიღღვორებთ თავამეტებით,
ჩვენ გადავრჩებით და მერე, ვიცი,
საუკუნეებს გადავებებით!

რიტები, ქრონიკული ბრონქიტი და ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმები.

საირმე

საირმეში მდებარეობს დიდი რაოდენობით მინერალური წყალი, ამიტომაც აქ მინერალური წლის აბაზანებით და მიღებით მკურნალობენ, აქ მკურნალობის ჩვენებებია: შარდ-სასქესო დაავადებები, ქრონიკული ნეფრიტი, ცისტეტი, ქრონიკული პროსტატი, რკინადეფიციტური ანემია, მსუბუქი და საშუალო დონის შაქრიანი დიაბეტი, პოდაგრა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულები, პანკრეატიტი და სხვა...

ახტალა

ახტალა დაბალი კურორტია, ზღვის დონესთან მისი დაბალი მდებარეობა ქმნის დაბალი მთის კლიმატურ ზონებს, ახტალაში მკურნალობის ჩვენებებია: გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაავადებები და სახსრების დაავადებები.

ურეკი

ურეკი კურორტებში ქვიშითაა ცნობილი, ურეკი საუკეთესოა სისხლძარღვების დაავადებების და ქრონიკული მრავალფეროვანი დაავადებების სამკურნალოდ.

intermedia.ge

ვინ არის ფოტოზა?



პასუხი ნინა ფოტოჟიორინაზე



„მსოფლიო ბანი“ პატა ბურჭულაძე — პირველად თაკო გაფრინდაშვილმა ამოიკნო, შემდეგ ნინო მეგრელიშვილმა.

რას დაარქმევდით?




თა წალუპინი



ეს პატარა „გოგოცუნა“ საქმეს მისდევს, „როგორც უნდა“...

თაკო გაფრინდაშვილი

კაროსკრადი



თარაზულად: 3. ვარსკვლავი ლომის თანავარსკვლავედში. 5. ბიტონების წყვილი. 6. ბაშკირეთის დედაქალაქი. 8. მწერალი ... არაავისპირელი. 9. ფილოსოფოსი ცალკეული სურათი. 11. ოპრიდილი საქმეთა მცოდნე.

შეუღლად: 1. კრება ძველ საბერძნეთში. 2. მეორე პირის ნაცვალსახელი. 3. ვარსკვლავი არწივის თანავარსკვლავედში. 4. ვარსკვლავი პილარის თანავარსკვლავედში. 7. უძველესი ქალაქი ერაყში. 10. მულტფილების თავუნა მიაკ...

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ომიკონი. 5. ნოკია; 6. სპა. 8. ლოა. 9. მიტუა. 11. ინგლისი. შეუღლად: 1. პიპინ. 2. ურო. 3. ოზოლონი. 4. ნებტუნი. 7. მილია. 10. უგო.

სწავიკე

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამოვრდეს!

Table with 9 rows and 9 columns for a 9x9 grid puzzle.

საიდ მულიანი: „16 თაობის პერთიპულის თქვას ვსდილობ“...

მათ ამბავში ძნელი სათქმელია – საიდ მთავრდება მითები და საიდ იწყება რეალობა, რაა ლეგენდა და რა სინამდვილე.

ოთხსაუკუნოვანი დარდი და სიხარულია ფერეიდნელი ქართველების ისტორია. შაჰ-აბას პირველის ბრძანებით, მე-17 საუკუნის დასაწყისში, კახეთიდან ათასობით ქართველი გაუყვნეს ირანისკენ მიმავალ გზას. ისინი ირანის განაპირა რეგიონებში ჩაასახლეს და ასე შეიქმნა ქართული სოფლები: ფერეიდუნშაჰი (მარტყოფი), აფუსი (რუისპირი), ბუინ ვა მინდამთ (თორელი), დაშქასანი (ტაშისკარი), ჩოყურთი (ჩუყურეთი), სიბაქი (ვაშლოვანი)...

ფერეიდანი ერთადერთი ირანული რაიონია, სადაც იძულებით გადასახლებულმა ქართველებმა დღემდე შეინარჩუნა ქართული ენა და ქართული ადათ-წესები. სხვა რაიონებში (ხორასანი, მაზანდარანი, ფარსი) ქართული მეტყველება აღარ იხმის. იქაური ქართველები თანდათან აითქიფნენ ირანის სხვა ტომებში.

„საქართველოდან ჩაყვანილებს მარჯნივ და მარცხნივ აბნევენ ისე, რომ მცირე ხნის შემდეგ ერთმანეთის ცნობაც კი აღარ იცოდნენ.“ – წერდა ზაქარია ჭიჭინაძე წერილში „სპარსეთის ქართველობა“.

მაგრამ, არ გამართლდა შაჰის ჩანაფიქრი. ფერეიდანში 4 საუკუნეა, ქართველს ქართველი არ მოუკლავს, ქართველს ქართველისთვის სასამართლოში არ უჩივლია, ქართული სული ჩანს ყველგან, ყველაფერში.

თვითმხილველები ყვებიან, ფერეიდანში ბევრჯერ შეგვხვდა მანქანები წარწერით: „ქართულის დამეფიწყებელს დამსაფლავებელი არ ეღირსსო“.

იქ ყველამ იცის – თუ ცისარტყელას ქვეშ გაძვრებიან, აუცილებლად აუხდებათ საქართველოში ჩასვლაზე ოცნება, ოცნებასდენილებიც მრავლად არიან უკვე.

საიდ მულიანი ერთი მათგანია,

ცისარტყელას ქვეშ გაძვრომა რომ შეძლო და საქართველოში ჩამოვიდა. ისტორიკოსი საიდ მულიანი ყველა ფერეიდნელი ქართველისთვის განსაკუთრებულად პატივსაცემი და ძვირფასი ადამიანია. მას სიყვარულით „ფერეიდნელ ილია ჭავჭავაძეს და იაკობ გოგებაშვილს“ ეძახიან.

საიდი უკვე რამდენიმე წელია, ირანში ქართული ენის და დამწერლობის გავრცელებას ცდილობს. მან, დიდი შრომის შედეგად, ირანში ქართული სკოლების გახსნა მოახერხა. თავად შეადგინა „დედაენა“ ამ სკოლებისთვის და სხვა სახელმძღვანელოებიც.

ქართულად საუბარი თუ ყველა ფერეიდნელს შეუძლია და მათ ოჯახებში სასაუბრო ენა სწორედაც რომ ქართულია, ქართულად წერა-კითხვა თითქმის არავინ იცოდა. თავად საიდსაც ძალიან გაუჭირდა მშობლიური ენის შესწავლა და სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რომ დახმარებოდა ფერეიდნელებს ქართული წერა-კითხვის და თანამედროვე ქართული სასაუბრო ენის შესწავლაში.

პირველი ქართული საზაფხულო სკოლა 2000 წელს გახსნა. რომელმაც დაახლოებით 4 წელიწადი იარსება. ხან სკოლებში, ხან უნივერსიტეტში ატარებდა გაკვეთილებს, ზოგჯერ სხვადასხვა პრობლემების გამო მინდორშიც. გარკვეული ხანი კი საკუთარ სახლშიც.

სამწუხაროდ, მაშინ სკოლას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა და დაიხურა. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ კი ისევ გახსნა ქართული სკოლები, სადაც ასეთულობით იქაური ქართველი სწავლობს ანბანს, თანამედროვე ქართულს, ქართულ ლიტერატურას.

მაშინ საიდმა სოციალურ ქსელში ასეთი სტატუსი დაწერა:

„გუშინ ჩემს ისპაჰანის ქარ-

თულს სკოლაში, იმ ოთახში, სადაც მე უნდა ვასწავლო ქართული წერა-კითხვა, ოთახის კარი აღარ იხურებოდა და სწავლის დასრულებამდე ვერც დაგზურეთ. ალბათ, მიხვდით, ეს უბრალო მოვლენა რატომ არის მნიშვნელოვანი და ძალიან სასიხარულო. ქართველნი, ჩემო დებო და ძმებო, ჩემს ცხოვრებაში იშვიათად ვყოფილვარ ასეთი გახარებული. იცით, რატომ არ იხურებოდა კარი? ჩემს ქართულ სკოლაში იმდენი მსურველი მოვიდა, რომ ნამდვილად, ნემსის ადგილიც აღარ იყო. დაუჭერებელი იყო. თვალებს არ ვუჭერებდი, კინაღამ სიხარულისგან ვიტრიალ.

შაჰ-აბასის დედაქალაქში, სადაც ის გეგმადა ქართველთა გადაშენებას, ქართული ენის სწავლის მიზნით ამდენი ხალხი მოვიდა. 200 კილომეტრი გზის გაგლის შემდეგ დადლილობა უცებ გაქრა, 2 საათი გაგრძელდა ეს გაკვეთილი, ისე მიხაროდა, რომ არ გაგჩერებინე, დილაღად ვასწავლიდი.

დმერთო, უზომოდ მაღლობელი ვარ, რომ ეს დღე მანახე და რომ ბედნიერი ვარ, უამრავი ხელოვნური და ბუნებრივი პრობლემის მიუხედავად, გემსახურო ჩემს ქართველობას!

საქართველოში პირველად 2006 წელს ჩამოვიდა. მას შემდეგ, ყოველ 26 მაისს საქართველოში ხვდება, 27 მაისს კი, დიასპორის დღესაც აქ აღნიშნავს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად.

ყოველ ჩამოსვლაზე ცდილობს, რაც შეიძლება ბევრი რამ ნახოს საქართველოში.



– საქართველოში უკვე უამრავი მეგობარი მყავს, ყოველ ჩამოსვლაზე კიდევ უფრო მეტს მეგობარს ვიძინ. აქ ყველგან დიდი სიხარული და სითბოთი მხვდებიან, მაგრამ განსაკუთრებულად მაინც ქუთაისში – როგორც სიმღერაშია, ისეა ზუსტად – **„გულის კარებს გაგიღებს“**...

4 ივნისს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საიდ მულიანმა საჯარო ლექცია წაიკითხა ფერეიდნელ ქართველებზე და ირანში ქართული ენის სწავლების თემაზე. დასაწყისში, უნივერსიტეტის პრორექტორმა, შალვა კირთაძემ, რომელმაც ცოტა ხნის წინ იმოგზაურა ფერეიდანში, თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა აუდიტორიას. პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილზეც წარუშლელი მოგონებები დაუტოვებია რამდენიმე წლის წინ ფერეიდანში პირველ ვიზიტს. პროფესორ ირაკლი ჭულაყიძეს კი, ირანის ყველაზე მაღალი მწვერვალის დაღამქვარაში სწორედ ფერეიდნელები დახმარებია.

საიდის მიერ გამოცემული „დედაენა“ ფერეიდანში უკვე დღეიციტია, მისი იქ ხელახლა გამოცემა კი დიდ ხარჯებთან და გარკვეულ სიძნელებებთანაა დაკავშირებული, ამიტომაც, გადაწყდა, რომ სექტემბერში საიდ მულიანი ქუთათური მეგობრებისგან 1000 ცალ „დედაენას“ მიიღებს.

აქვე პროფესორმა სოსო იარღანაშვილმა ქუთაისის საკრებულოს წევრს, ირმა პეტრიაშვილს (რომელიც ფერეიდანი და ფერეიდნელებით აღფრთოვანებულთა რიგებშია) საინტერესო იდეა შესთავაზა საკრებულოში საკითხის ინიცირებისთვის – მიენიჭოს ქუთაისის რომელიმე ქუჩას ფერეიდანის სახელი.

საიდ მულიანმა ირანის ქართულ სკოლებში გადაღებული რამდენიმეწუთიანი დოკუმენტური ფილმიც აჩვენა, სადაც იქაური ქართველები – საიდის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები მშვენიერი ქართულ



ლით საუბრობდნენ, გამართულად კითხულობდნენ, ყვებოდნენ ქართულ ლექსებს, არაკებს.

საიდ მულიანის ოჯახი, მეუღლე მარიამ იოსელიანი, შვილები, ძმა კახა ერთნაირი შემართებით და სიყვარულით ემსახურებიან დიდ ქართულ საქმეს ირანში.

სტუმარს და მასპინძლებს ერთმანეთთან დაშორება ძალიან გაუჭირდა. ფერეიდნელთა ამბების მოსმენა

დაუსრულებლად სურდა თვალცრემლიანი სტუდენტებით, პროფესორ-მასწავლებლებით სავსე დარბაზს.

– **16 თაობის ვერთქმულის თქვას ვცდილობ ახლა მე და ერთი საღამო ვიცი, რომ არაა საკმარისი ამისთვისო**, – ამ სიტყვებით და უახლოეს მომავალში კვლავ შეხვედრის იმედით დამშვიდობა საიდ მულიანი ქუთაისს.

ირაბ მარღალიაშვილი

